ახალი განათლება

14-20.05.2020

№17 (891) გამოდის 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge



არაფერი ისე არ დაგვეხმარება ფიქრსა და აზროვნებაში, როგორც წიგნი

#იკითხეთწიგნები

მთავარი ის კი არ არის, თუ კონკრეტულად რაზე უნდა დაფიქრდნენ ადამიანები, არამედ მთავარია, რომ დაფიქრდნენ საერთოდ, ზოგადად და მერე, აუცილებლად დაფიქრდებიან იმაზე, რაც სინამდვილეში მთავარია.

აღბერტ აინშტაინმა ერთხელ იხუმრა, რომ ადამიანების უმრავლესობა საერთოდ არ ფიქრობს და კაცობრიობის მთავარი პრობლემაც ეს არისო. ქართველებმა ხომ მაინც ვიცით, რომ ნებისმიერ ხუმრობაში არის სიმართლის ჩაღაც დოზა და ამ შემთხვევაში კი აღბათ უბრალოდ დოზაზე მეტია.

ქართველებმა ისიც იციან, რომ ზოგი ჭირი მარგებელია და ამ ჭირს კი ნამდვილად აღმოაჩნდა ერთი პოზიტიური თვისება – გვაიძულა, რომ გვქონდეს ბევრი დრო წიგნებისთვის და ახლა შეგვიძლია ვიკითხოთ და ვიფიქროთ. ახლა ვერ ვიტყვით იმას, რასაც ხშირად ვამბობთ, რომ კითხვისთვის დრო არ გვრჩება და არაფერი ისე არ დაგვეხმარება ფიქრსა და აზროვნებაში, როგორც წიგნი. ასე რომ ვიკითხოთ და აუცილებლად უკეთესები გავხდებით.

დათო ტურაშვილი

მწვავე თემა

მცირებიუჯეტიანი კერძო სკოლების გასაჭირი

ლალი ჯელაძე

დისტანციური სწავლების დანერგვის პროცესი და, ზოგადად, კორონავირუსით შექმნილი რთული მდგომარეობა, ბუნებრივია, სკოლებისა და მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების წინაშე ახალ მოთხოვნებს აყენებს, სიახლეები კი, როგორც წესი, ახალ პრობლემებს წარმოშობს. ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა, ტექნიკის არქონა და ა.შ. ამას ისიც ემატება, რომ ახლა მშობელს შვილისთვის, როგორც არასდროს, იმდენი დრო სჭირდება, რადგან ის, ძალაუნებურად, სასწავლო პროცესის მთავარ აქტორად იქცა – მეტი პასუხისმგებლობა დაეკისრა. მასწავლებლებს კი, დისტანციურ სწავლებასთან გასამკლავებლად, გაცილებით მეტი დრო სჭირდებათ, ვიდრე ჩვეულებრივი სწავლებისას – ონლაინ გაკვეთილის მოსამზადებლად რესურსებს ეცნობა, მერე ტექნოლოგიებზე მოარგებს და ბოლოს დისტანციურ საგაკვეთილო პროცესს იწყებს... შემდეგ მოსაწვლეებისგან უკუკავშირს იღებს, დავალებებს ასწორებს. მოკლედ, ყველა და ყველაფერი პრობლემებმა მოიცვა, თუმცა, ჩამოთვლილი პრობლემების ნუსხას, ოჯახების იმ გარკვეული ნაწილისთვის, რომლებიც შვილებს კერძო სკოლებში ასწავლიან, კიდევ ერთი პუნქტი დაემატა – გადასახადი. რთულ ეკონომიკურ ვითარებაში კერძო სკოლის მოსწავლეთა მშობლები ძალიან სერიოზული დილემის წინაშე აღმოჩნდნენ, უმუშევრად დარჩენილი მშობლების ნაწილი სკოლებს გადასახადების დაწევას სთხოვს, ნაწილი კი, რომელიც სხვა ალტერნატივას უბრალოდ ვერ ხედავს, გადაწყვეტილებას იღებს და შვილი საჯარო სკოლაში გადაჰყვს. აქ კი, პრობლემა უფრო სიღრმისეულ სახეს იღებს, რადგან კერძო სკოლის ბიუჯეტის უმთავრესი ნაწილი სწორედ მშობელთა კეთილგანწყობაზეა დამოკიდებული. საბოლოო ჯამში კი, ეს სიტუაცია მცირებიუჯეტიანი კერძო სკოლების არსებობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. ბუნებრივია, პანდემია ყველასთვის პანდემიაა, კერო სკოლისთვისაც და საჯარო სკოლისთვისაც, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ვითარებამ, შესაძლოა, კერძო სკოლებს სერიოზული დარტყმა მიაყენოს.

თუმცა, როგორც ირკვევა, ამ სეგმენტს პრობლემები პანდემიამდეც საკმაოდ ჰქონდათ, ამასთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრსაც მიმართეს და განათლების სამინისტროსაც. კერძო სკოლების გასაჭირზე საუბრობს ჩვენი რესპონდენტი **ელზა ბადაშვილი**, რომელიც ხელმძღვანელობს საქართველოს სკოლის ლიდერთა ასოციაციას და კარგად იცნობს ყველა დეტალს – როდის და რა პრობლემამ შეიძლება იჩინოს თავი.

➪ *„კერძო სკოლები, საჯაროსგან განსხვავებით, ამ სიტუაციამ უფრო რთულ მდგომარეობაში იმიტომ ჩააყენა, რომ სახელმწიფო საჯარო სკოლას აფინანსებდა და ახლაც, ჩვეულებრივ აფინანსებს, რეალურად, მათთვის, დაფინანსების კუთხით, არაფერი შეცვლილა. კერძო სკოლების დაფინანსების უმეტესი წილი კი, თავისთავად, დამოკიდებულია იმ გადასახადებზე, რომელსაც მშობლები იხდიან. შექმნილი ვითარების გამო, მშობლების ნაწილი უმუშევარი დარჩა, შესაბამისად, სკოლის გადასახადიც მტკივნეულად დაეწვათ კისერზე. ისინი ვერ იხდიან ან ვერ გადაიხდიან, ეს იმას ნიშნავს, რომ რეალურად დაზარალებული, ამ შემთხვევაში, კერძო სკოლა გამოვიდა.“*

ქალბატონი ელზა ამბობს, რომ ამის გარდა, რეალურად, კერძო სკოლებს დისტანციურ სწავლებასთან გამკლავება მხოლოდ საკუთარი ძალებით მოუწია, სახელმწიფოს ჩაურევლად, მხარდაჭერის გარეშე. ის აქცენტს რამდენიმე საკითხზე აკეთებს.

ელზა ბადაშვილი:

➪ *„პანდემიის პირობებში, კერძო სკოლები უყურადღებოდ დარჩნენ სახელმწიფოს მხრიდან. საქართველოში სულ 225 კერძო სკოლაა, აქედან ჩვენს ორგანიზაციას 120 სკოლასთან აქვს კონტაქტი, მთელი ქვეყნის მასშტაბით.*

მათ მაგალითზე გეტყვით, რომ სკოლებმა მხოლოდ თავისი ძალებით, ეტაპობრივად, მოახდინეს დისტანციურ სწავლებაზე გადასვლა. ძირითადად, ეს პროცესი 22 მარტიდან დაიწყო, რადგან მანამდე, არდადეგების პერიოდში, გაურკვეველი იყო რა გველოდებოდა – არ ვიცოდით გაგრძელდებოდა თუ არა სწავლა სკოლებში. კერძო სკოლები ყველაზე მეტად იყენებენ ზუმს, ფეისბუქ მესენჯერს – შექმნილი აქვთ ჯგუფები, ასევე აქტიურად გამოიყენება ძალიან კარგი ქართული პროდუქტი „სქულ ბუქი“.

➪ *მშობლების უკმაყოფილებას იწვევს ის, რომ კერძო სკოლებმა გადასახადები ვერ დაწიეს, ამას, პირდაპირ გეტყვით, რომ ვერც მოახერხებენ. როგორც ჩვეულებრივ სტრუქტურებში, კერძო სკოლაშიც მთელი წლის ბიუჯეტი ერთიანად დგება – სექტემბრიდან სექტემბრამდე, შესაბამისად, ხარჯებიც მთელ წელზე ნაწილდება. მშობლების მოთხოვნა, რომ გადასახადს კომუნალური ხარჯი გამოაკლდეს, ან დამლაგებლის ხელფასი, ან სხვა ხარჯი – არასწორი მიდგომაა. ეს შემოსავლები, როგორც გითხარით, მთლიანობაშია გათვლილი და არა დანაწევრებულად. ამ საერთო შემოსავლის მიხედვით ვითვლით შემდეგ ხელფასებს, კომუნალურ გადასახადებს, დასუფთავებისა თუ სხვა ხარჯებს. სკოლას, ასევე, აუცილებლად უნდა ჰქონდეს ბიუჯეტში გაუთვალისწინებელი ხარჯებიც, მაგალითად, სადეზინფექციო საშუალებები ახლა სწორედ ამ თანხით შევიძინეთ. ბრძანების მიხედვით, სანიტარიულ-ჰიგიენური წესების დასაცავად, ჩამოთვლილი იყო, რა უნდა შეეძინა სკოლას. აქ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩვენი ბიუჯეტის დიდი წილი მიაქვს გათბობას, კოვიდვირუსით გამოწვეული რთული პროცესები გაზაფხულის პირს დაიწყო, ამიტომ, თავისთავად, ეს გადასახადიც ხომ დათვლილი იყო და ამ თანხაში შედიოდა.*

➪ *ვაუჩერული დაფინანსება კერძო სკოლასაც აქვს, თუმცა, ეს მიზერული დაფინანსებაა – 300 ლარი ერთ მოსწავლეზე. საჯარო სკოლის ვაუჩერული დაფინანსება, ერთ მოსწავლეზე, შეადგენს 500 ლარს და ზევით. ამას ემატება პროგრამული დაფინანასებებიც, რადგან ვაუჩერი ვერ ფარავს მთლიანად მოსწავლის საჭიროებას. ვიდრე ეს ამბები დაიწყებოდა, ჩვენ შევხვდით პარლამენტის განათლების კომიტეტის თავმჯდომარეს, ასევე, მინისტრის მოადგილეს, ეკა დგებუაძეს – ვითხოვდით კერძო სკოლის ვაუჩერის გათანაბრებას საჯარო სკოლის ვაუჩერთან. ეს მოთხოვნა სავსებით ლეგიტიმურია, რადგან ვაუჩერი მოსწავლისაა და არა აქვს მნიშვნელობა რომელ სკოლაში ისწავლის – კერძო თუ საჯარო, ისევე, როგორც არა აქვს მნიშვნელობა, სტუდენტის დაფინანსებისას, კერძო უმაღლესში აბარებს თუ სახელმწიფოში. ამიტომ მოსწავლეა თუ სტუდენტი, სადაც წავა სასწავლებლად, იქ უნდა წაიღოს სახელმწიფოს მიერ გაცემული დაფინანსება, იქნება ეს კერძო თუ საჯარო დაწესებულება. ამ პრინციპზე სამინისტროშიც ყველა თანხმდებოდა, მაგრამ რეალურად, როგორც ხედავთ, კერძო სკოლის მოსწავლეები დღესაც ნაკლებ თანხას იღებენ, ვიდრე საჯარო სკოლების. სხვათა შორის, პირველად, ვაუჩერულ დაფინანსებაზე გადასვლისას, სკოლებს თანაბარი დაფინანსება ჰქონდათ, შემდეგ, დიმიტრი მაშკინის მინისტრობის პერიოდში, კერძო სკოლების ვაუჩერის ოდენობამ დაიწია, იმ დაპირებით, რომ მომავალში ისევ მოგვიმატებდნენ. როგორც ხედავთ, არავინ არაფერი არ მოგვიმატა.*

მიმართვა გაგზავნილი გვქონდა პრემიერთან, მან განათლების სამინისტროსთან გადაგვამისამართა. სამინისტროდან კი არანაირი პასუხი არ მიგვიღია. ვაუჩერი მოსწავლისაა და არა სკოლის, მასწავლებელი კერძო სკოლისაა თუ საჯარო სკოლის, სახელმწიფომ არ უნდა განასხვავოს სტატუსის დანამატის შემთხვევაში და კიდევ, სახელმწიფომ თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპი არც ბუკების დარიგების დროს უნდა დაარღვიოს – თუ ჩემს შვილს კერძო სკოლაში მივიყვან, რატომ არ უნდა მისცეს სახელმწიფომ ბუკი, ის ამ ქვეყნის მოქალაქე არ არის? სახელმწიფო მისთვის რატომ აწესებს განსხვავებულ სტანდარტს?

➪ *კერძო სკოლები ავტორიზაციას ყოველ 6 წელიწადში ერთხელ გადიან და აკმაყოფილებენ იმ 4 სტანდარტს, რომელიც ავტორიზაციის თანახმად მოეთხოვებათ. ამის გარდა, კერძო სკოლის მოსწავლებლები უნდა აკმაყოფილებდნენ იმ მოთხოვნებსა და კრიტერიუმებს, რასაც სახელმწიფო სკოლის პედაგოგები აკმაყოფილებენ. აქედან გამომდინარე, ჩვენი მასწავლებლებიც ისეთივე მასწავლებლები არიან და იმავე მოთხოვნებს ექვემდებარებიან, რომელსაც საჯარო სკოლის მასწავლებლები, მათაც უნდა ჩააბარონ გამოცდები და აიმაღლონ სტატუსი. ბუნებრივია, მასწავლებლის სტატუსი ერთი და იგივეა ყველა პედაგოგისთვის. აქ კი, ლოგიკურად გვიჩნდება კითხვა – მაშინ, თუ სახელმწიფო საჯარო სკოლის მასწავლებელს აძლევს სტატუსის დანამატს, რატომ არ უნდა მისცეს ეს დანამატი კერძო სკოლის მასწავლებელს?*

ზემოთ ხსენებული შეხვედრებისას ეს შეკითხვებიც გვქონდა ხელისუფლებასთან და სამინისტროსთან. მერწმუნეთ, ერთგვარი შვება იქნებოდა კერძო სკოლებისთვის, მით უფრო იმ ფონზე, როცა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა უარესდება და ოჯახების შემოსავალიც საგრძნობლად იკლებს. მიუხედავად ამ ვითარებისა და დოლარის კურსის ცვალებადობისა, კერძო სკოლები გადასახადს ,ასე უპრეცედენტოდ, ვერ ზრდიან. რეალურად, კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებები დახურვის პირას აღმოჩნდებიან. თუმცა, რასაკვირველია, ეს მაღალბიუჯეტიან სკოლებს არ შეეხება, რადგან მათ უფრო მაღალშემოსავლიანი ოჯახები აფინანსებენ – 10-15 ათასს და მეტს იხდიან უპრობლემოდ. საუბარი გავქვს ისეთ სკოლებზე, სადაც წელიწადში მაქსიმალური გადასახადი 1000-2000-3000 ლარია. თქვენ წარმოიდგინეთ, მაგალითად, ფოთის, ბოლნისის, ლანჩხუთის და ა.შ. სკოლები, სადაც ყოველთვიური გადასახადი 50 ლარიდან იწყება, 120 უკვე მაქსიმუმია. არადა, სწორედ სახელმწიფო პოლიტიკა უნდა იყოს ისეთი, რომ რეგიონებში ამ პატარა კერძო სკოლების არსებობას შეუწყონ ხელი და დახურვას გადაარჩინონ. ამაზე გვქონდა საუბარი შეხვედრისას, თითქოს გვეთანხმებოდნენ კიდეც, მაგრამ რეალურ გადაწყვეტილებამდე მაინც ვერ მივედით. ამასობაში პანდემიაც წამოგვეწია.

➪ *რეალურად, ჩვენ არ ვითხოვთ იმას, რომ დამატებით მოგვცენ ფული. ჩვენ ვთხოვთ სამინისტროს და პრემიერ-მინისტრს, რომ კერძო სკოლის ვაუჩერული დაფინანსება გაათანაბრონ საჯარო სკოლის ვაუჩერულ დაფინანსებასთან და მასწავლებლის სტატუსის დანამატი აუნაზღაურონ პედაგოგებს, ვიდრე საერთოდ არ დაცლილა კერძო სკოლები მასწავლებლებისგან. ახლა იმის გამო, რომ კერძო სკოლებში მასწავლებლებს ნაკლები ანაზღაურება აქვთ, ისინი ცდილობენ, გადავიდნენ საჯარო სკოლებში.*

როცა სქემა ამოქმედდა, იყო ჩანაწერი, რომ ეს სავალდებულოა საჯარო სკოლის მასწავლებლებისთვის, კერძო სკოლის მასწავლებლებისთვის კი – არა. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ კერძო სკოლის პედაგოგებს გაუჩნდებოდათ სტატუსის ამაღლების სურვილი, მაშინ სკოლას ალტერნატიული შეფასების სქემა უნდა გაეგზავნა სამინისტროსთვის/მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისათვის. რამდენიმე მაღალბიუჯეტიანმა სკოლამ გააკეთა ალტერნატიული სქემა და გაუგზავნა სამინისტროს, მაგრამ პასუხი არ მოსვლიათ. დაბალბიუჯეტიანი სკოლები, ცხადია, ამას ვერც შეძლებდნენ, ამიტომ სქემაში ჩართვის მსურველმა პატარა სკოლებმა სახელმწიფო სქემაში ჩართვა გადაწყვიტეს. რადგან ჩაერთნენ, შესაბამისად, კერძო სკოლის მასწავლებლებსაც ისევე ეკუთვნით ბონუსები, როგორც დანარჩენებს.

➪ *კერძო სკოლის მასწავლებლებს ყოველთვის მეტს სთხოვენ მშობლები, შესაბამისად, მეტი პასუხისმგებლობის წინაშე ვდგავართ. თავისთავად, მეტს სთხოვს დირექტორიც, რადგან სკოლის ფუქნციონირება მთლიანად მშობლის კეთილგანწყობაზეა დამოკიდებული. ამიტომ, ყველა მხრიდან, მასწავლებლის მიმართულებით, გაზრდილია მოთხოვნები – მშობელიც მას სთხოვს შვილის კარგ შედეგებს და დირექციაც – მშობლის კეთილგანწყობის ზრდას. ბუნებრივია, ის მაქსიმალურად მობილიზებულია*

მწვავე თემა

და ჩართული პროცესებში, რომ ორივე მოთხოვნა დააკმაყოფილოს. ამისთვის მეტი დროც სჭირდება და მეტი შრომაც. არადა, ხედავს, რომ გაცილებით ნაკლები მოთხოვნები აქვს მის კოლეგას საჯარო სკოლაში, ანაზღაურება კი – გაცილებით მეტი, სახელმწიფოსგან მხარდაჭერა და დაფასებაც დიდი. მეტიც, მისივე სტატუსის მქონე მასწავლებელს, საჯარო სკოლაში, სახელმწიფო დანამატსაც კი აძლევს, არც თუ ურიგოს. მოკლედ, ბევრი ფაქტორია დემოტივაციისთვის, იმისთვის, რომ მასწავლებელმა კერძო სკოლა დატოვოს. ამას ისიც ემატება, რომ კერძო სკოლის მასწავლებლები ზაფხულის ხელფასსაც ვერ იღებენ, ეს კიდევ უფრო დაბლა სწევს მათ მოტივაციას. ჩვენს ქვეყანაში მასწავლებლებს, 12 თვის ხელფასს, მხოლოდ რამდენიმე მაღალბიუჯეტიანი კერძო სკოლა უხდის, დანარჩენი 95% კი, საშვებულებო ხელფასის გარეშე რჩება.

❖ ❖ ❖

მცირებიუჯეტიანი კერძო სკოლების გასაჭირზე საუბრობს ფოთის ერთ-ერთი კერძო სკოლის დირექტორი და კერძო სკოლების რეგიონული საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელი **თამარ ფაჩულია**. ამბობს, რომ პრობლემები, რომელზეც ხმამაღლა საუბრობენ, მხოლოდ დაბალბიუჯეტიან სკოლებს ეხება და არა საშუალო ან მაღალბიუჯეტიანებს. ვაუჩერული დაფინანსების გათანაბრებას საჯარო სკოლის ვაუჩერთან და მასწავლებლებისთვის სტატუსის დანამატის ანაზღაურებას ერთადერთ სწორ და უალტერნატივო მიდგომად მიიჩნევს მათ გადასარჩენად. თუ, რასაკვირველია, სახელმწიფოს ნებაა, რომ ეს სეგმენტი გადარჩეს. არც იმას გამორიცხავს, რომ ეს მიზანმიმართულად, მათ დასახურად კეთდება, რადგან ერთხელ უკვე მიიღო პასუხი ზემდგომი ორგანოებისგან, რომ რა პრობლემაა, დახურეთ სკოლა! ასე იოლად ფარ-ხმლის დაყრას არც ქალბატონი თამარი აპირებს და არც მსგავსი სკოლის არც ერთი დირექტორი.

თამარ ფაჩულია გვიყვება, რომ მინისტრთან შეხვედრის მცდელობა ჰქონდათ, მაგრამ, როგორც მათ განუცხადეს, მინისტრს შესახვედრად არ ეცალა, ამიტომ სამინისტროში მისული ჯგუფი მინისტრის მოადგილესთან გადაამისამართეს. ეს შეხვედრა, 2 მარტს, ეკატერინე დგებუაძესთან შედგა და მინისტრის მოადგილე დაპირდათ, რომ ამ საკითხზე უცილებლად დაფიქრდებოდა და პასუხს გააგებინებდა. თუმცა, როგორც თამარი ამბობს, პასუხს დღემდე ელიან. ამიტომ გადაწყვიტეს, რომ სხვა გზაც ეცადათ და, 10 აპრილს, წერილი მისწერეს სახალხო დამცველს. „ნინო ლომჯარიას ფოსტით გავუგზავნეთ წერილი, სადაც ხაზგასმით ვწერთ, რომ კერძო სკოლების მიმართ ხორციელდება დისკრიმინაციული დამოკიდებულება და ვთხოვთ, შეისწავლოს ეს საკითხი და მოახდინოს რეაგირება.“

რაში გამოიხატება დისკრიმინაციული დამოკიდებულება? – ამ კითხვას თამარ ფაჩულია ვრცლად პასუხობს და ამბობს, რომ ვერც კი წარმოიდგენდა, თუ სახელმწიფო და სამინისტრო, მხოლოდ მათი შეხსენების შემდეგ, იტყოდა, რომ დაფიქრდებიან ამ საკითხზე.

თამარ ფაჩულია:

➡ *„ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში დაფინანსების ეტაპები ასე გამოიყურება: თუ სკოლაში ირიცხება 170-დან 205 მოსწავლემდე, მაშინ ფინანსური ნორმატივების შესაბამისი ვაუჩერი 510 ლარით განისაზღვრება, მაღალმთიანში – 680 ლარით. მეცხრე კლასიდან მეთორმეტე კლასის ჩათვლით, ამავე რაოდენობაზე, დაფინანსება იზრდება და 606 ლარს შეადგენს. 205-დან ზემოთ მოსწავლეთა რაოდენობის შემთხვევაში (500-1000 და ა.შ.), თავისთავად, დაფინანსებაც იზრდება. სკოლების დაფინანსების კუთხით მრავალჯერ განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად (2010, 2013, 2015 და 2019 წლებში), არც ერთ ეტაპზე, მთვარობის დადგენილებაში კერძო სკოლა არ ფიგურირებს. ვერ მოხვდა მათ თვალსაწიერში ვერც დაბალბიუჯეტიანი და ვერც მაღალბიუჯეტიანი სკოლა. ჩვენ ისევ 300 ლარს ვიღებთ.*

ვაუჩერის გარდა, საჯარო სკოლები იღებენ საბაზო დაფინანსებას, რომელიც 10 ათასიდან 30 ათას ლარამდეა განსაზღვრული. არც ეს ფორმულა მოქმედებს ჩვენზე და არც დამატებითი დაფინანსების, რომელიც სკოლებს უფლებამოსილი პირის ხელფასისთვის გამოეყოფათ, მაგალითად, მედპერსონალის ხელფასისთვის და ა.შ.

➡ *ალბათ გაინტერესებთ, რა წერია კანონში – კანონში კერძო სკოლა გამოტოვებულია! წარმოუდგენელია, მაგრამ სახელმწიფო არ სცნობს კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებას (ამ შემთხვევაში – სკოლას) და თურმე, ამაზე აქამდე არავის უფიქრია, მხოლოდ ჩვენი შეხსენების შემდეგ დაფიქრდებიან.*

➡ *რატომ უნდა მივიღოთ სახელმწიფოსგან მხარდაჭერა? იმიტომ რომ ჩვენ ვზრდით ქვეყნის მომავალ თაობას, იმიტომ რომ ქვეყნის სრულფასოვანი მომავალი მოქალაქეები ჩვენი კურსდამთავრებულებიც ისევე იქნებიან, როგორც საჯარო სკოლის კურსდამთავრებულები. თუკი სახელმწიფოს პრიორიტეტი ოდესმე მართლა იქნება განათლება, მაშინ კერძო სკოლის მასწავლებლები ისევე უნდა დაფასდნენ ამ ღვაწლისთვის, როგორც დანარჩენი პედაგოგები. მე პირადად, მენტორი მასწავლებელი ვარ და იცით, რამდენი ვიშრომე ამ სტატუსის მისაღწევად? ძალიან ბევრი, ეს იყო მართლა კოლოსალური შრომა. და კითხვა მაქვს მთავრობასთან – მე რატომ არ მაძლევს მენტორის სტატუსის დანამტს? არ მაღიარებს როგორც მენტორ მასწავლებელს? რატომ? ზუსტად იმავე სქემით გავიარე ყველა აქტივობა და იმავე შეფასებებით მივიღე ეს სტატუსი. ეს არ არის დისკრიმინაცია? სკოლის დანიშნულება, იქნება ეს კერძო თუ საჯარო, ერთი და იგივეა: ქვეყანას განათლებული მოქალაქეები გაუზარდოს. ჩემი სკოლა და პირადად მე პირნათლად ვასრულებთ ამ მოვალეობას, მაშ, რაშია საქმე?*

სკოლაში სულ 80 მოსწავლე მყავს. ბუნებრივია, ირგვლივ ისეთი სიდუხჭირეა, რომ შეღავათების გარეშე უბრალოდ შეუძლებელია ჩვენი მოსწავლეების დატოვება, ამიტომ ჩვენც გვყავს მოსწავლეები, რომლებსაც გარკვეულ შეღავათებს ვუწესებთ. ახლა განსაკუთრებულ სიდუხჭირეში მოექცნენ ოჯახები და მათ ვეღარ შემოიტანეს გადასახადი. ეს კი, პირდაპირ მასწავლებლების ხელფასზე აისახება. ისედაც გაქცევაზე უჭირავთ თვალი და ეს ნამდვილად გამოიწვევს მასწავლებელთა გადინებას კერძო სკოლებიდან.

➡ *ონლაინ სწავლებაზე გადასვლაც კი, მხოლოდ საკუთარი ძალებით, ყოველგვარი მხარდაჭერის გარეშე შევძელით, მეტიც, თიმსის პროგრამა, რომელიც სრულიად უსასყიდლოდ აქვს, საქართველოს მასშტაბით, ყველა საჯარო სკოლას, ჩვენთვის, ამ პირობებშიც კი, ფასიანი იყო. ამიტომ, ჩვენ მესენჯერი და ზუმი გამოვიყენეთ დისტანციური გაკვეთილებისთვის. 16 მარტისთვის, რეალურად, უკვე მზად ვიყავით ონლაინ სწავლებისთვის. ეს დისკრიმინაციული მიდგომა არ არის? კერძო სკოლის მასწავლებლები ჩვენი ქვეყნის მოქლაქეები არ არიან? ჩვენი მოსწავლეეები განსხვავებული არიან საჯაროს მოსწავლეებისგან? რატომ უნდა ვაიძულოთ, რომ მათ დატოვონ ქვეყანა ან დატოვონ საკუთარი ქალაქი, რომელიც დღემდე ისედაც 90-იანების იერ-სახითაა შემორჩენილი. იცით, ჩვენს მოსწავლეებს სწორედ ამისთვის ვზრდით, რომ მომავალში მათ მაინც მიხედონ უპატრონოდ მიტოვებულ ქალაქს.*

➡ *კერძო სკოლის უპირატესობა კი ჩვენს ქალაქში, ლუკმაპურის საშოვნელად მთელი დღე ოჯახიდან გასული მშობლებისთვის, ძალიან დიდია. მათგან ნაწილს მთელი დღე ბაზარში უწევს ყოფნა, დაღლილ-დაქანცულები კი საღამოს შვილებთან საათობით ჯდომას ვეღარ ახერხებენ, ამიტომ, ვისაც სურს, შვილმა კარგად ისწავლოს, ჩვენთან მოჰყავს. სკოლაში 5 საათამდე ვამეცადინებთ მათ, ამიტომ ასეთი სკოლები მისწრებაა, მკურნალია ასეთი ოჯახებისთვის.*

➡ *უფასო სახელმძღვანელოები, ბუკები, ჩემი პირველი კომპიუტერი – ამ სიკეთეებს მოკლებული არიან კერძო სკოლის მოსწავლეები. სახელმწიფომ წარჩინებულ მოსწავლეს შეიძლება მხოლოდ იმიტომ არ მისცეს კომპიუტერი, რომ კერძო სკოლის მოსწავლეა – ეს არ არის დისკრიმინაცია?*

➡ *დაბოლოს, აუცილებლად მინდა შევეხო ავტორიზაციის საფასურს. აქამდე 5500 ლარამდე იყო გადასახადი, ახლა 12000 ლარამდე გაიზარდა. თუ იმ თანხის გადახდა გვიჭირდა, ამას როგორ გადავიხდით? ბუნებრივია, სკოლაში რომ მაღალი გადასახადი მქონდეს დაწესებული, ამაზე წუწუნის მორალური უფლებაც არ მექნებოდა და ხმასაც არ ამოვიღებდი. ასევე არ აქვს მორალური უფლება სახელმწიფოს, რომ ჩვენნაირი ბიუჯეტის მქონე სკოლებს 12 ათასი ლარი მოგვთხოვოს ავტორიზაციაში. თუკი ეს ყველაფერი მიზანმიმართულად, მცირებიუჯეტიანი სკოლების დასახურად კეთდება, მაშინ ხმამაღლა განაცხადოს სახელმწიფომ, რომ ხურავენ სკოლებს იმის გამო, რომ მათ მიერ დაწესებულ კოლოსალურ თანხას, ავტორიზაციის გასავლელად, ვერ გადაიხდიან! ეს, უბარლოდ, უსამართლობაა!“*

❖ ❖ ❖

რამდენად მნიშვნელოვანია კერძო სკოლების არსებობა ჩვენს საგანმანათლებლო სივრცეში და რატომ უნდა შეუწყოს ხელი სახელმწიფომ მათ განვითარებას? – ამ კითხვაზე პასუხი ლიდერთა ასოციასიიც ხელმძღვანელს, ელზა ბადაშვილსაც ვთხოვეთ. ის, პირველ რიგში, სახელმწიფოსგან ითხოვს პასუხს – როგორ საზოგადოებაში ვცხოვრობთ? კაპიტალისტურში თუ ისევ სოციალისტურში? და თუ აღარ ვცხოვრობთ სოციალისტურ ქვეყანაში, ამბობს, რომ, რადგან ყველა სფეროში არსებობს კერძო სექტორი, იქნება ეს ჯანდაცვის მიმართულება თუ ნებისიერი სხვა, განათლების სფეროსაც სჭირდება კერძო სკოლების არსებობა.

– „ეს აუცილებელია, პირველ რიგში, იმის გამო, რომ ამის მოთხოვნა ბაზარზე არსებობს. მოთხოვნა რომ არ იყოს, დამერწმუნეთ, არც სკოლები იარსებებდნენ ან ძალიან ცოტა სკოლა იფუქნციონირებდა. ვინაიდან კერძო სკოლები ასე თუ ისე არსებობენ, ეს იმას ნიშნავს, რომ მათ ძალიან რთულ გამოწვევებს გაუძლეს. მინდა გითხრათ, რომ საკმაოდ რთულია ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის დაკმაყოფილება. მარტივი არც, თუნდაც, სტანდარტის შესაბამისად, ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაა. ეს ფაქტორი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონებისთვის, რადგან იმისთვის, რომ სკოლამ ავტორიზაცია გაიაროს, შენობა უნდა ჰქონდეს მოწესრიგებული. ამიტომ, იქ ამ პატარა ოაზისების შენარჩუნება უმნიშვნელოვანესია. თქვენც კარგად იცით, რა მდგომარეობაშია რეგიონების სკოლების ნაწილი ინფრასტრუქტურულად – ტუალეტები გარეთ აქვთ ან საერთოდ არ ფუნქციონირებს. მოწესრიგებულ ინფრასტრუქტურას სწავლების ხარისხიც ემატება, რადგან დამფუძნებლები/დირექტორები დაინტერესებული არიან მოსწავლის მოზიდვით, რაც მხოლოდ საჯარო სკოლაზე უფრო მაღალი სწავლების ხარისხითა და სერვისითაა შესაძლებელი. მარტივად, რომ ვთქვათ, კონკურენცია ზრდის ხარისხს და კვლევებითაც დასტურდება, რომ კერძო სკოლაში სწავლების ხარისხი უფრო მაღალია. აქვე გეტყვით, რომ ამას მხოლოდ მცირერიცხოვანი კლასები არ უწყობს ხელს (რასაც ხშირად გაიგონებთ ხოლმე არგუმენტად), არა, ხარისხს, გარკვეულწილად, მეტი ავტონომიურობაც განაპირობებს, თორემ, ასე რომ მივუდგეთ, ხშირად, რეგიონებშიც გვაქვს მცირერიცხოვანი კლასები, ერთი და ორი მოსწავლითაც კი. დირექტორი მაქსიმალურად არის დაინტერესებული, აიყვანოს კვალიფიციური კადრი, მაგრამ, იმ შემთხვევაში, თუ ეს კადრი ვერ გაამართლებს მოლოდინებს, დაბალი შედეგები აქვთ მის მოსწავლებს ან არ აკმაყოფილებს, თუნდაც, მშობლების მოთხოვნებს, ამ შემთხვევაში, დირექტორი მშობლისა და მოსწავლის სასარგებლოდ იღებს გადაწყვეტილებას – არ მოსწონს მასწავლებელი, არავინ ზღუდავს, მასთან შეწყვიტოს შრომითი ხელშეკრულება, გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად იღებს, რასაც მოკლებული არიან საჯარო სკოლის დირექტორები. რეალურად, კერძო სკოლის მეტი ავტონომიურობა, გარკვეულწილად, ხარისხსაც განაპირობებს, მშობლის აზრი კი, ყოველთვის უმნიშვნელვანესია, მისი გათვალისწინება კი – გარდაუვალი პირობა.

კერძო სკოლების განვითარების ხელშეწყობა ერთგვარად ზრდის კონკურენციას. რატომ მიჰყავს მშობელს ბავშვი კერძო სკოლაში? იმიტომ, რომ ის იქ უფრო დაცულია, იმიტომ, რომ მის შვილს იქ მაღალი ხარისხის სერვისს სთავაზობენ, იმიტომ, რომ იქ სწავლების უფრო მაღალი ხარისხია. გარდა ამისა, ჩვენ ერთიანი ეროვნული სასწავლო გეგმიდან გადახვევის მეტი შესაძლებლობა გვაქვს, მაგალითად, უფრო გავაძლიეროთ უცხო ენის სწავლება, უფრო მეტი საინტერესო და მრავალფეროვანი საგნები შეგვიძლია შევთავაზოთ მოსწავლეებს, მათი შესაძლებლობებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე. ამიტომ უნდა იზრუნოს სახელმწიფომ კერძო სკოლის განვითარებაზე, და არ უნდა აღიქვას, როგორც მხოლოდ ბიზნესი. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე, სახელმწიფოს კერძო სკოლები გაიგივებული ჰყავს რიგით შპს-ებთან, ბიზნესთან, შესაბამისად, ზუსტად ისეთივე გადასახადებს იხდის, როგორც დანარჩენი მცირე თუ საშუალო ბიზნესი, იხდის საშემოსავლოს, ქონების გადასახადებს. მათზე არანაირი შეღავათი არ ვრცელდება.

ბუნებრივია, მშობლის ინტერესი, ამ შემთხვევაში, გადასახადის დაწევაა, რეალურად კი, მათ ეს შეღავათები ვერ მიიღეს, გარდა იმ თანხების ამოღებისა, რომელ სერვისსაც, რეალურად, ახლა მოსწავლეები ვერ იღებენ – სკოლების უმეტესობამ ამოიღო კვებისა და ტრანსპორტის მომსახურების თანხები. ამის გარდა, სკოლა მშობელს სხვა შეღავათს ვერ შესთავზებს, რადგან ახლა სკოლებმა მასწავლებელთა ხელფასების გასტუმრება უნდა შეძლონ. შეიძლება დღეს მასწავლებელი, 20 საათის ნაცვლად, 10 საათს ატარებდეს, მაგრამ ხელფასს იმ ოდენობით მიიღებს, როგორც მანამდე – მასწავლებლის ხელფასი დაცულია სპეციალური მუხლით და მას ვერავინ შეეხება.

– კიდევ ერთი შეღავათი, თუ შეიძლება ამას შეღავათი ეწოდოს – სკოლებმა გაითვალისწინეს მშობელთა მდგომარეობა და მათ, ვისაც მიმდინარე სასწავლო წლის სწავლის საფასური მაისის თვეში უნდა დაეფარათ, გადაუვადეს და მშობლები დავალიანებას სექტემბერში დაფარავენ.

– ალტერნატივად კი, მხოლოდ საჯარო სკოლაში გადაყვანა რჩებათ. რეალურად, ეს პროცესი მოსწავლეთა გადინებას გაზრდის, რაც, პრინციპში, უკვე დაწყებულია. „მშობლები თავისთავად გრძნობენ პასუხისმგებლობას, როცა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას ვერ ასრულებენ, ანუ დარჩა უმუშევარი და ვეღარ იხდის გადასახადს. ის იძულებულია, შვილი გაიყვანოს სკოლიდან, მაგრამ მიდის იმ პირობით, რომ თუ სიტუაცია გამოსწორდება, აუცილებლად უკან დაბრუნდება.“

❖ ❖ ❖

ეს მოვლენები მართლაც ძალიან ცუდად აისახება კერძო სკოლებზე – ახლა ისინი მაქსიმალურად არიან მობილიზებულები, რომ მასწავლებლების ხელფასები გაისტუმრონ, რომ მათი დავალიანება არ დარჩეთ. თუმცა, ჩვენს რესპონდენტებს არც იმის ილუზია აქვთ, რომ სახელმწიფო მშობლებს ამ გადასახადებს გადაუხდის. უბრალოდ, მათი აზრით, ვინაიდან სკოლების იურიდიული ფორმაა შპს, ერთადერთ მხარდამჭერ ვარიანტად სახელმწიფომ, შეიძლება, გადასახადებზე შეღავათების დაწესება განიხილოს. თუმცა, არა მხოლოდ 750 ლარზე, როგორ ეს მთავრობამ გამოაცხადა, არამედ, ამ შემთხვევაში, კერძო სკოლები გადასახადებისგან სრულად უნდა გაგვათავისუფლონ, თუნდაც, ამ რთულ სიტუაციაში, 6-თვიან პერიოდში როგორც საშემოსავლო, ისე ქონების გადასახადებისგან. ელზა ბადაშვილის აზრით, ეს უნიშვნელოვანესი მხარდაჭრა იქნება, რადგან კანონით გათვალისწინებული ქონების გადასახადის წინსწრებით გადახდა გაუჭირდებათ. თუ ამ გადასახადისგან მაინც გათავისუფლდებიან, ლიდერთა ასოციაციის ხელმძღვანელი იმედს იტოვებს, რომ ამ ურთულესი პერიოდის გადალახვას შეძლებენ.

ციფრული რესურსები

ციფრული მრავალფეროვნება ხარისხიანი განათლებისთვის – ახალი პროექტი ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში

ლალი ჯელაძე

განათლების უფლების დაცვა და ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის ხელშეწყობა გახდა ახალი საგანმანათლებლო პროექტის შექმნის საწინდარი, რომელსაც 5 მაისს ჩაეყარა საფუძველი – განათლების სამინისტრომ, გაეროს ბავშვთა ფონდმა (UNICEF), განათლების კოალიციამ და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა, რომლის ფარგლებშიც სკოლამდელი და ზოგადი განათლების სფეროში ხარისხიანი განათლების ხელშესაწყობად საგანმანათლებლო რესურსები ორი მიმართულებით შეიქმნება. კოალიციის აღმასრულებელი დირექტორი **ირინა ხანთაძე** ამბობს, რომ პროექტს ერთი მთავარი მიზანი აქვს – *„დისტანციური სწავლების პროცესი უზრუნველყოს დამატებითი ციფრული რესურსით, რაც მასწავლებლებს მისცემს შესაძლებლობას, გაამრავალფეროვნონ გაკვეთილები.“*

პროექტის პირველი კომპონენტის, ზოგადი განათლების – „ისკოლის“ ფარგლებში, პირველიდან მეთორმეტე კლასის ჩათვლით, მოსწავლეებისთვის ორგანიზებულ **სასწავლო პროცესში ჩართვისათვის შეიქმნება კომპლექსური საშინაო დავალებების** კრებულები სხვადასხვა საგნობრივი მიმართულებით, რომლებიც განთავსდება ვებგვერდზე https://www.el.ge/ მოსწავლეებს დისტანციურად შეეძლებათ საჭირო მასალის გაცნობა და დავალებების შესრულება. ონლაინ პლატფორმაზე დავალებების პირველი კრებული ყოველი საგნის/საგნობრივ ჯგუფისათვის ხელმისაწვდომი იქნება მაისის პირველ კვირაში, ხოლო ყოველ მომდევნო კვირას მოსწავლეები მიიღებენ დავალების ახალ კრებულს. აღნიშნული სასწავლო მასალები ხელმისაწვდომი იქნება მასწავლებლებისთვისაც.

მასალებს პროექტში ჩართული და მობილიზებული მასწავლებელთა ჯგუფები შექმნიან, ონლაინ პლატფორმაზე კი, ეტაპობრივად, აიტვირთება საფეხურებისა და საგნობრივი ჯგუფების მიხედვით. ბუნებრივია, რესურსზე წვდომა ექნება მოსწავლესაც და მასწავლებელსაც, რომელიც პირდაპირ შეძლებს სასწავლო პროცესში ინტეგრირებას.

⇨ **ირინა ხანთაძე**

„საჭიროებიდან გამომდინარე, რადგან ძალიან სწრაფ რეჟიმში ხდება ელექტრონული პლატფორმის მომზადება, სამუშაო ჯგუფი ცდილობს, რაც შეიძლება პრაქტიკული და შედარებით მარტივი მოხმარების სასწავლო ელექტრონული პლატფორმა შეიქმნას, თუმცა, სამომავლოდ, რა თქმა უნდა, სასურველია, რომ ასეთი პლატფორმები უფრო კომპლექსური გავხადოთ – მეტი შესაძლებლობები ჩაშენდეს. ახლა კი, მთავარი ამოცანა, მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის ამ მასალების ციფრული ფორმით მარტივად და სწრაფად მიწოდებაა. სწორედ ამ ამოცანის შესრულებას ემსახურება ის ახალი ვებგვერდი, რომელიც ემისის კოორდინირებით იქმნება. იმედია, ეს ყველაფერი გაზრდის სასწავლო პროცესის ეფექტიანობას, უფრო საინტერსოს და სახალისოსაც გახდის, იმდენად, რამდენადაც დიდი აქცენტი სწორედ ასეთი ტიპის დავალებების მომზადებაზე გაკეთდება. ბუნებრივია, ასაკობრივი ჯგუფების გათვალისწინებით, დავალებები საინტერესო და სახალისო იქნება. მოსწავლეებს, ძირითადად, უფრო კომპლექსურ დავალებებს შევთავაზებთ.

ვფიქრობთ, პროექტი არ უნდა დასრულდეს სასწავლო წლის დასრულებასთან ერთად, სტრატეგიული მუშაობა რესურსების განვითარებაზე აუცილებლად უნდა გაგრძელდეს. ნებისმიერ შემთხვევაში, გარკვეული პერიოდის შემდეგ, მოგვიწევს თუ არა დისტანციურ რეჟიმში სასწავლო პროცესის გაგრძელება, მსგავსი ციფრული რესურსების არსებობა ძალიან შუწყობს ხელს სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებასაც და მის გათანამედროვეობასაც, რაც ბუნებრივად არის ხარისხთან კავშირში. გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი აქტიური ნაბიჯების გადადგმა, შესაძლოა, უფრო ადრე უნდა დაგვეწყო, მაგრამ, ვფიქრობ, საკმაოდ დიდი ნაბიჯებით დაწყებული სტარტი შედეგს აუცილებლად მოიტანს – მას უკუქცევა აღარ ექნება.“

⇨ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ხელმძღვანელი **დიტო ბერიძე** მიიჩნევს, რომ:

„პანდემიის გარეშეც, მსოფლიოს ძალიან ბევრი წარმატებული განათლების სისტემის მქონე ქვეყნებისთვისაც კი, დამატებითი ელექტრონული რესურსი, თავისებურად, ყოველთვის იყო ერთგვარი თავისუფლება, რადგან მასწავლებელი, მოსწავლესთან უფრო ეფექტურ შედეგზე გასასვლელად, გარდა იმ ლიტერატურისა, რომელსაც დადგენილი წესით ასწავლის, ყოველთვის იყენებს დამატებით რესურსს. შესაბამისად, ეს არ არის ახალი, მაგრამ არის ძალიან აქტუალური და საჭირო. რადგან ახლა დაგვიდგა დრო, როცა ჩვენს ბავშვებს, ტრადიციულად, საკლასო ოთახში კი არა, დისტანციურად ვუტარებთ გაკვეთილებს. ამიტომ ინლაინ სწავლების სრულფასოვნად წარმართვისთვის, მასწავლებელსაც და მოსწავლესაც სჭირდება მაქსიმალური ხელშეწყობა. ეს რესურსები მათთვის ახლა მართლაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.“

⇨ მინისტრის მოადგილე **ეკა დგებუაძე** აცხადებს, რომ პანდემიის პირობებში სამინისტროს მთვარი ამოცანა შინ დარჩენილი მოსწავლეებისთვის დისტანციური სწავლების მრავალფეროვანი სერვისების მოწოდებაა და ამ მიზნით, არაერთი ღია რესურსი შეიქმნა როგორც საერთაშორისო, ისე განათლების მიმართლებით მომუშავე ადგილობრივი ორგანიზაციების ჩართულობით. თუმცა, ახალ საგანმანათლებლო პროექტს მნიშვნელოვნად მიიჩნევს პროექტის მეორე კომპონენტის, სკოლამდელი განათლების მიმართულების, თვალსაზრისითაც. *„გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, ჩვენ დავფარავთ სკოლამდელი განათლების კომპონენტსაც – სკოლამდელი დაწესებულებების აღსაზრდელებსა და მათ მშობლებს, სატელევიზიო ფორმატში, დარგის ექსპერტები საინტერესო რჩევებსა და მრავალფეროვან აქტივობებს შესთავაზებენ.“* – ამბობს მინისტრის მოადგილე.

⇨ **ღასან ხალილი**

„პანდემიამ შეცვალა ბავშვების, მშობლებისა და მასწავლებლების ყოველდღიური რეალობა. სოციალური დისტანცირება, თვითიზოლაცია, სკოლისა თუ სკოლამდელი დაწესებულების დახურვა საზოგადოებისთვის სტრესია.“ – ამბობს იუნისეფის წარმომადგენელი საქართველოში ღასან ხალილი და ამ მემორანდუმის ხელმოწერით, გაეროს ბავშვთა ფონდის სახელით, ვალდებულებას იღებს, რომ პარტნიორებთან ერთად, შეიმუშაონ და ხელმისაწვდომი გახადონ რესურსები და სახელმძღვანელოები სწავლისა და სწავლებისთვის, რაც ძალიან საჭიროა საგანგებო ვითარებაში.

სკოლამდელი განათლების კომპონენტი გულისხმობს მშობლებისთვის რეკომენდაციებისა და მრავალფეროვანი აქტივობების სატელევიზიო ფორმატში შეთავაზებას, რომ მათ ოჯახურ გარემოში განაგრძონ პატარების აღზრდა-განათლება. დისტანციური სწავლების პროცესის მართვის მხარდაჭერის მიზნით, სკოლების, მასწავლებლებისა და მშობლებისთვის, პროექტის ფარგლებში, დაგეგმილია დისტანციური სწავლების გზამკვლევების შექმნაც.

იუნისეფის ადრეული განათლების სპეციალისტის, **ანა ჯანელიძის** აზრით, რესურსის შექმნის საჭიროება მართლაც მწვავედ დადგა, რადგან ბევრი მშობელი აღმოჩნდა პრობლემის პირისპირ – არ იციან მთელი დღე რით დააკავონ და გაართონ პატარები. ამიტომ, სამიზნე ჯგუფი სწორედ მშობლები აღმოჩნდნენ: *„პროექტის ფარგლებში, მშობლებისთვის შეიქმნება რესურსი, როგორ შეუწყონ ბავშვის განვითარებას ხელი ოჯახურ გარემოში. ბუნებრივია, ეს ეხება მხოლოდ პანდემიის პერიოდს. შეიქმნება ორი ტიპის რესურსი – პირველი არხი-განათლებასთან თანამშრომლობით, მომზადდება გადაცემათა ციკლი და ბავშვის განვითარების შესახებ სპეციალისტები, როგორც ექსპერტები, ისე აღმზრდელები, ისაუბრებენ და დემონსტრირებას მოახდენენ, როგორ შეუწყონ ხელი მშობლებმა ბავშვის მრავალმხრივ განვითარებას – ფიზიკურ, შემეცნებით, მეტყველების, სოციალურ-ემოციურსა და ა.შ. თემატურად დალაგებული გადაცემების სერია, სულ 12 გადაცემა, ისეთივე მოკლექრონომეტრაჟის იქნება, როგორც ტელესკოლის გაკვეთილებია, მხოლოდ ეს „გაკვეთილები“ განკუთვნილია მშობლებისთვის. ამის გარდა, ვებსაიტისთვის მომზადდება ტექსტური რესურსი,რომელიც, ძირითადად, მიმართულია იმის ახსნისკენ, რა არის ბავშვის ტიპური განვითარება და სახლის პირობებში, როგორ შევუწყოთ მას ხელი.“*

გადაცემების ნახვას მშობლები, არდადეგების დაწყებამდე, ყოველ შაბათ-კვირას შეძლებენ, თუმცა მათთვის, ვინც ვერ ნახავს, ვიდეოჩანაწერის სახით გახდება ხელმისაწვდომი ისევე, როგორც ნებისმიერი აქტივობა და რჩევა, რომელიც პროექტის ფარგლებში შეიქმნება, რადგან ეს რესურსი მშობლებს ყოველთვის გამოადგებათ.

❖ ❖ ❖

5 მაისს მხარეებს შორის გაფორმებული მემორანდუმი ითვალისწინებს, ორგანიზაციებს შორის მჭიდრო კოორდინაციითა და თანამშრომლობით, ასევე, დიდი ბრიტანეთის მთავრობის, გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდის, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ACCESS-სა და პირველი არხი-განათლების მხარდაჭერით, ახალი საგანმანათლებლო პროექტის ამოქმედებასა და ტექნიკურ უზრუნველყოფას.

თვალსაზრისი

„შიში შეიქმს სიყვარულსა“ – ანუ ჩვენზე

– „შიში შეიქმს სიყვარულსა?“ კი, ეს ნამდვილად ასეა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ შიშის დროს იზრდება აფილაციის მოთხოვნილება. რა თქმა უნდა, ადამიანები ერთმანეთისგან განსხვავდებიან აფილაციის მოთხოვნილებით, მაგრამ ეს უმეტესად ასეა.

– აფილაცია რა არის? რა და ერთად ყოფნა რომ გვინდა, ოჯახთან, მეგობრებთან, საყვარელ ადამიანებთან და თქვენ წარმოიდგინეთ, ზოგჯერ სრულიად უცნობებთანაც კი, რომლებსაც ჩვენნაირი მიზნები, მისწრაფებები და პრობლემები აქვთ.

სოციალურ ფსიქოლოგიაში აფილაციის ტენდენციას დიდი ხანია იკვლევენ... ერთ ექსპერიმენტზე მოგიყვებით, შეიძლება იცოდეთ კიდეც. ექსპერიმენტი ეკუთვნის სტენლი შეხტერს და იკვლევს, თუ რა დამოკიდებულება არსებობს შიშსა და აფილაციის ტენდენციას შორის.

ექსპერიმენტის პროცედურა ასეთი იყო. ცდის პირები შეჰყავდათ ლაბორატორიაში, სადაც იყო დიდი რაოდენობით ელექტრომოწყობილობა და უხსნიდნენ, რომ ექსპერიმენტი ეხებოდა მეხსიერებაზე ელექტროშოკის გავლენის კვლევას. ექსპერიმენტში შიშის სხვადასხვა დონის შესაქმნელად, ექსპერიმენტატორი ყვებოდა შოკის განსხვავებულ სიძლიერეზე. ძლიერი შიშის ექსპერიმენტული პირობების შესაქმნელად, ელექტროშოკს აღწერდნენ დიდი მუქარის ტერმინებში (შოკი იქნება მტკივნეული... უკიდურესად მტკივნეული...), მაგრამ არ ექნება შემდგომი ეფექტი. ექსპერიმენტის მონაწილეებს უხსნიდნენ, რომ კვლების წარმატებისთვის საჭიროა ინტენსიური შოკის გამოყენება.

სუსტი შიშის ექსპერიმენტული პირობების შესაქმნელად კვლევაში მონაწილე სუბიექტებს ეუბნებოდნენ, რომ შოკი არ იქნება მტკივნეული, იქნება ძალიან სუსტი და ა.შ.

ამის შემდეგ, ვითომ ექსპერიმენტის დაწყებამდე, აპარატურის მოსამზადებლად, საჭირო იყო გარკვეული დრო. კვლევის მონაწილეებს უწევდათ ლოდინი და მათ უნდა აერჩიათ, როგორ გაატარებდნენ ამ დროს – მარტო თუ სხვებთან ერთად.

ძლიერი შიშის დროს სუბიექტები ირჩევდნენ სხვებთან ერთად ყოფნას!

თქვენ ალბათ ფიქრობთ, რომ „შიში შეიქმს სიყვარულსა“ კონტექსტიდან ამოვარდნილი ფრაზაა და ჩემებურ ინტერპრეტაციას ვაკეთებ. ტექსტში, ლოგიკური თანმიმდევრობით ახსნა, რა თქმა უნდა, სხვანაირ სურათს გვიხატავს (ეს ფრაზა ეხება ავთანდილის ბრძოლას მეკობრეებთან. ავთანდილმა არამიწიერი ძალა გამოავლინა მათთან ბრძოლაში, ლომივით დაუხვდა მათ ლაშქარს და არ დარჩა მისგან დაუჭრელი, „დაუფხრეწელი“ ადამიანი. მეკობრეები შეეხვეწნენ გამარჯვებულ ავთანდილს სიცოცხლე შეენარჩუნებინა მათთვის და ავთანდილმა დაიმონა ისინი). მაგრამ, რამდენ ზრდასრულს ახსოვს ეს კონტექსტი? მე მგონი არც ისე ბევრს, თუმცა უფრო ბევრს ახსოვს ზუსტადაც ეს „ფრთიანი გამონათქვამი“.

ამ ჩანაწერის გაკეთების იდეა უკვე ბევრ წელს ითვლის, მაგრამ ალბათ ამ დროს ელოდა, კიდევ უფრო ზუსტი რომ ყოფილიყო. და რა ხდება ახლა? ახლა როგორ ვუპასუხებდით შეკითხვას – „შიში შეიქმს სიყვარულსა“? ისევ ისე, როგორც ზემოთ. კი, დიახ, ასეა!

ახლა, როდესაც გარეთ „შიშია“...

ახლა კიდევ უფრო ძალიან გვინდა გვიყვარდეს, ვუყვარდეთ, ვიზრუნოთ, ჩავეხუტოთ და ახლოს გვყავდნენ ჩვენი ადამიანები.

ეკა ღვინიაშვილი
სსიპ ქალაქ თბილისის 82-ე საჯარო სკოლის სპეციალური მასწავლებელი

დისტანციური სწავლება

დისტანციური განათლების ძირითადი პრინციპები

შახვალათ ნაბიევი, დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ტნუსის საჯარო სკოლის დირექტორი

✓ კორონავირუსის გავრცელების გამო საქართველოს ყველა სკოლა დაიხურა და დისტანციურ სწავლებაზე გადავიდა. პროცესი მიმდინარეობს და სასწავლო წლის ბოლომდე ასე უნდა ვიმუშაოთ. დისტანციურ სწავლებას გარკვეული პრობლემები ახლავს და ეს ბუნებრივია, რა თქმა უნდა, ამისთვის მზად არ იყვნენ არც მასწავლებლები, არც მოსწავლეები და არც მშობლები.

✓ დღეს არსებობს უამრავი პლატფორმა და პროგრამა, რომლებიც სკოლებში დისტანციური სწავლების უზრუნველსაყოფად უნდა გამოვიყენოთ, სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად. ონლაინ სწავლებისას სკოლებში იყენებენ შემდეგ პლატფორმებს: Microsoft Teams , Zoom, Feedc, Skype, ასევე, სოციალურ ქსელებს: „Messenger“, „Facebook“, „WhatsApp“ და სხვა.

ზოგი პედაგოგი ამბობს, რომ გაუჭირდა მოსწავლეთა დარეგისტრირება და პროგრამის ფუნქციებში გარკვევა, რამაც ბევრი დრო წაიღო. რა თქმა უნდა, ნებისმიერი სამუშაოს დასაწყისი რთულია, მაგრამ როცა პასუხისმგებლობით და ენთუზიაზმით ვმუშაობთ, დასახული მიზნის მიღწევა შესაძლებელია.

✓ დისტანციური სწავლების ეფექტურ ორგანიზებასა და განხორციელებაში სკოლის ადმინისტრაციისა და კლასის დამრიგებლების როლი დიდია. ამიტომ, სკოლის ადმინისტრაციამ ყურადღება უნდა მიაქციოს შემდეგ პრინციპებს:

1) მასწავლებლის ეფექტური კოორდინაციის ორგანიზება;

2) მშობლების ინფორმირება და ამ საქმიანობაში მათი ჩართვა;

3) ეფექტური მეთოდების გამოყენება და მოსწავლეებისთვის პოზიტიური უკუკავშირის მიცემა;

4) მუდმივი მონიტორინგი.

✓ ჩვენი სკოლის მაგალითზე მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან გაგვიჭირდა მოსწავლეების დარეგისტრირება, მოსწავლეების და მშობლების ჩაბმა ამ პროცესში. პირველ რიგში, ჩვენ წინაშე დადგა საკითხი, აქვს თუ არა ყველა ბავშვს ინტერნეტთან წვდომა და შესაბამისი ტექნიკური საშუალება?

ოჯახებში ბავშვების ინტერნეტთან წვდომის დადგენის შემდეგ, გადავწყვიტეთ, რომ გაკვეთილები ჩავატაროთ Facebook-ისა და WhatsApp-ის საშუალებით იმიტომ, რომ მშობლების უმრავლესობას უწყვეტი ინტერნეტი არ აქვს და მობილური ინტერნეტი რომ გამოიყენოს ამ ქსელებისთვის. დავიწყეთ მუშაობა. ბავშვებისთვის საინტერესო იყო და დიდი ენთუზიაზმით ჩაერთნენ ამ პროცესში. ამის შემდეგ, გადავედით პორტალზე მუშაობაზე. ეს ჩვენთვის უფრო ადვილი იყო, რადგან პროცესი უკვე დაწყებული იყო და მშობლებთან გვქონდა კონტაქტი.

✓ გაუჭირდათ ასაკოვან მასწავლებლებს, რომლებსაც ინტერნეტითა და კომპიუტერით სარგებლობის საკმარისი უნარ-ჩვევები არ ჰქონდათ. ახალგაზრდა პედაგოგების დახმარებით და თანამშრომლობის საფუძველზე, უკვე ისინიც ჩართულნი არიან ამ პროცესში. გამოცდილი პედაგოგები, პარალელურად, მუშაობენ Microsoft Teams-ით და WhatsApp-ით, ძირითადად, WhatsApp-ით უგზავნიან უკუკავშირებს მშობლებს, რომ ისინი მუდმივად ჩართულნი იყვნენ ამ პროცესში და დაეხმარონ შვილებს.

✓ საკლასო ოთახში ჩატარებული ცოცხალი გაკვეთილი და ონლაინ ჩატარებული გაკვეთილი მასწავლებლებისგან განსხვავებულ უნარ-ჩვევებს მოითხოვს. დისტანციური სწავლების დროს მასწავლებელი ფრთხილად უნდა იყოს უკუკავშირის მიცემაში. პოზიტიური უკუკავშირი მოსწავლეს დამატებით სტიმულს აძლევს. დავალებები ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლეთა ანალიტიკური და შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე. მასწავლებელმა უნდა დახარჯოს მთელი თავისი ცოდნა და უნარები, რომ ბავშვები სასწავლო პროცესს არ ჩამორჩნენ.

დღეს მასწავლებელი გაცილებით უფრო დატვირთულია, ვიდრე საგაკვეთილო პროცესის დროს იყო

დავით კახნიაშვილი, სკოლა-ლიცეუმ „მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი

✓ ჩვენი სკოლა, შექმნილ მდგომარეობამდე, ონლაინ სწავლების მეთოდს არ იყენებდა, თუ არ ჩავთვლით ელექტრონულ ჟურნალს, რომლის წარმოებაშიც მასწავლებლებისა და მშობლების უმრავლესობა აქტიურად იყო ჩართული. დღეს, დისტანციურ სწავლებაში, თითქმის ყველა – 162 მასწავლებელი და 1412 მოსწავლეა ჩართული.

ონლაინ სწავლების ყველაზე დიდი პრობლემა პროცესის ორგანიზება და მასწავლებლებისთვის ონლაინ სწავლების მეთოდების არარსებობაა. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია ამ პროცესში მონაწილე მხარეების გამოუცდელობა.

დისტანციური სწავლების დადებით და უარყოფით მხარეებზე და მის ანალიზზე დღეს შეუძლებელია საუბარი. ჩემი აზრით, ყველაზე კარგ შემთხვევაში, შედეგიანი შეიძლება მხოლოდ მოსწავლეების 5%-ისთვის იყოს.

✓ დღევანდელ დღეს ონლაინ სწავლება არ არის იმ ონლაინ სწავლების მსგავსი, რომელიც ჩვეულებრივ პირობებში წარიმართებოდა. დღეს ყველა მოქალაქე – ბავშვი, მასწავლებელი და მშობელი – დაძაბულ, სტრესულ მდგომარეობაში იმყოფება, განსაკუთრებული რთული პირობები ექმნებათ იმ ადამიანებს, ვინც ემოციურები არიან და ვისი ნერვული სისტემაც ლაბილურია. შესაძლებელია, კვირის საათობრივი დატვირთვა უფრო ნაკლებია, მაგრამ მასწავლებელს გაცილებით მეტი დატვირთვა აქვს, ვიდრე ჩვეულებრივი გაკვეთილის დროს. დღევანდელ დღეს, ყველა მასწავლებელი დისტანციური სწავლებისთვის მზად ვერ იქნებოდა, მაგრამ კარგად უნდა გავიგოთ, მოცემულ მდგომარეობაში, დისტანციური სწავლების შემოღება ერთადერთი კარგი გადაწყვეტილება იყო.

✓ აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ, მშობელთან დადებულ ხელშეკრულებას, დისტანციური სწავლებით ვერ შევასრულებთ, ამიტომ ვგეგმავთ, როგორც კი სწავლის პროცესი აღდგება, მოსწავლეებს გაცდენილი მეცადინეობების აღდგენაზე სავალდებულო დასწრება შევთავაზოთ. თუ ჩვენ ამას არ გავაკეთებთ და მხოლოდ დისტანციურ სწავლებას დავეყრდნობით, ძალიან ცუდ შედეგს მივიღებთ. ამიტომ, მინდა ვისარგებლო თქვენ მიერ მოცემული შესაძლებლობით და დავამშვიდო ჩვენი სკოლის მოსწავლეები და მათი მშობლები, რომ ჩვენ მეცადინეობებს და იმ თემებს, რომლებიც უნდა გაგვევლო, დამატებით აღდგენით მეცადინეობზე აუცილებლად გავივლით და მშობლებთან დადებულ ხელშეკრულებას სრულად და ხარისხიანად შევასრულებთ.

მშობელთა ჩართულობა ამ პროცესში, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, თუნდაც ორგანიზების თვალსაზრისით, რადგან მასწავლებელი ვერ შეძლებს პროცესის ორგანიზებას, მშობლის დახმარების გარეშე, განსაკუთრებით დაწყებით კლასებში. მინდა მოვუწოდო, მშობლები ნუ ჩაერთვებიან ისეთ საკითხებში, რომლებიც მათი კომპეტენცია არ არის, მაგალითად: როგორ გადასცეს მასწავლებელმა მასალა, რა ინტენსივობით გადასცეს და რა დრო მოანდომოს ამა თუ იმ მასალის გადაცემას. ეს მასწავლებლის კომპეტენციაა და მასში ჩარევის უფლება არავის არ აქვს.

✓ რაც შეეხება სწავლის საფასურს, ეს ყველა სკოლის ინდივიდუალური გადასაწყვეტია. მოგეხსენებათ, ერთი და იმავე მომსახურებაში, სხვადასხვა სკოლაში სხვადასხვა ფასია. მე, როგორც კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, ვიცნობ ძალიან ბევრი სკოლის ხელშეკრულებას, რომლებიც მშობლებთან ფორმდება, ჩემთვის ასევე ცნობილია ბევრი სკოლის არა მარტო მასწავლებლის, არამედ ყველა თანამშრომლის ხელფასის ოდენობა. ეს ინფორმაცია კონფიდენციალურია და არავის აქვს მასში ჩარევის უფლება.

ჩვენი სკოლის შემოსავლის, დაახლოებით, 80% სახელფასო ანაზღაურებაზეა მიმართული. ის სკოლებისთვის, რომლებიც მაღალ გადასახადებს აწესებენ, ძალიან ადვილია გადასახადის, თუნდაც, განახევრება.

ჩვენ შემთხვევაში, ამჟამად, მშობელს შეუძლია მხოლოდ ის თანხა არ გადაიხადოს, რომელიც კვების პროდუქტების შეძენაზე იხარჯება. კვების უზრუნველყოფისთვის, პროდუქტების შეძენის გარდა, თანხები მომსახურე პერსონალის ხელფასებისთვისაც არის გამოყოფილი.

✓ და კიდევ, მინდა აღვნიშნო ერთი რამ, ჩვენ იძულებულნი ვართ და აუცილებლად უნდა შევასრულოთ შემდეგი პირობა: მშობელთა ერთმა ნაწილმა, შექმნილი მდგომარეობის გამო, სრულად დაკარგა შემოსავალი, მათ არაფრის გადახდა არ შეუძლიათ, მათ გადახდა გონივრული ვადით უნდა გადავუვადოთ, ინდივიდუალურად ყველა კონკრეტულ შემთხვევაში. ჩვენ ეს ყველაფერი დავთვალეთ და მივიღეთ გადაწყვეტილება, როგორც მოგახსენეთ, რომ კვების პროდუქტების შესაძენი თანხა მშობლებს არ მოვთხოვოთ. მხოლოდ ამ შემთხვევაში შევძლებთ სახელფასო თანხის მობილიზებას.

ესაუბრა მაკა ყიფიანი

სამოქალაქო განათლება

ვისწავლოთ ვირუსთან ერთად გონივრულად და სიფრთხილით თანაცხოვრება

ილია ყიფშიძე ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვაციხის საჯარო სკოლის მეთორმეტეკლასელია, მამა ამავე სკოლის დირექტორია, დედა – მასწავლებელი. ამბობს, რომ ეს მისთვის პრივილეგია არასოდეს ყოფილა, პირიქით, მასწავლებლის შვილობა ყოველთვის უარყოფით გავლენას ახდენდა მის წარმატებაზე: *„ოჯახისგან მაქვს დაწესებული მორალური ბარიერი, მეკუთვნის თუ არა, ყოველთვის, პირველ რიგში, გზა სხვას უნდა დავუთმო. ვფიქრობ, სამოქალაქო კლუბის ლიდერიც ვერ გავხდებოდი, რომ არა ის დემოკრატიულობის და თანასწორობის პრინციპი, რაც პროგრამა „მომავლის თაობას“ მოჰყვა. მეათე კლასში ვიყავი, როცა ეს პროგრამა ჩვენს სკოლაში შემოვიდა და ფარული კენჭისყრით ამირჩიეს მოსწავლეებმა. პროგრამამ „მომავლის თაობა“ მნიშვნელოვანი გარდატეხა შეიტანა სასკოლო ცხოვრებაში, გაგვააქტიურა მოსწავლეები, მოგვცა ჩვენი ყველა იდეის განხორციელების შესაძლებლობა და უნარი, რათა გვემუშავა სკოლისგან დამოუკიდებლად, თუმცა ძალიან მჭიდრო თანამშრომლობით. მოკლედ რომ ვთქვათ, „მომავლის თაობა“ სამოქალაქო საზოგადოების ფართომასშტაბიანი განვითარების პროგრამაა და ძალიან პატივსაცემია ყველა ის ადამიანი, ვისაც მის შექმნაში წვლილი მიუძღვის – პროგრამის დირექტორი **მარინა უშვერიძე** და მხარდამჭერი ორგანიზაციების წარმომადგენლები. ჩვენი განსაკუთრებული ენერგიის წყარო კი **თეა შელია**ა, პროგრამის კოორდინატორი იმერეთში, რომელიც მოდუნების შესაძლებლობას არ გვაძლევს და გადამდები ენთუზიაზმით მუშაობს“.*

მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი მხარს უჭერს ყველა ინიციატივას, რომელიც მოსახლეობას მეტ ინფორმაციას მიაწოდებს. ცენტრის მესვეურებს მიაჩნიათ, საგანგებო ვითარების პირობებში, დისტანციური კონფერენციები ყველაზე ეფექტური და უსაფრთხო ფორმაა ინ-

ფორმაციის დიდ აუდიტორიაზე გასავრცელებლად. განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრის პროგრამა „მომავლის თაობის“ ფარგლებში, „ტელესკოლის“ პარალელურად, „მომავლის თაობის“ ფეისბუქგვერდზე, აქტიურად იმართება სხვადასხვა სახის ღონისძიებები, ვებინარები, ვიდეოკონკურსები, ონლაინ კონფერენციები თემებზე: „ოჯახური კონფლიქტები, გაღიზიანებადობა და ინტერესთა სხვადასხვაობა“; „არასრულწლოვნებზე თამბაქოსა და ალკოჰოლის მიყიდვა – არსებული კანონები“; „სახალხო დამცველის მანდატი და შესაძლებლობები“ და მრავალი სხვა.

პროგრამა „მომავლის თაობის“ მცირე საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტის ფარგლებში, ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვაციხის სამოქალაქო კლუბ „ვექტორის“ წევრების ინიციატივით შექმნილ Facebookგვერდზე – „სამოქალაქო მედია“, ვექტორელები სხვადასხვა აქტივობებს ახორციელებენ. მათი მიზანია, საინფორმაციო ვიდეორგოლებით, სიუჟეტებითა და ონლაინტრენინგებით, საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლება სამოქალაქო განათლების თემებზე. როგორც ილიამ გვითხრა, თავდაპირველად, სოფლის მოსახლეობა, სამოქალაქო კლუბის საქმიანობის მიმართ, ნიჰილისტურად იყო განწყობილი. მათ მიაჩნდათ, რომ მოსწავლეებს არ შეეძლოთ რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილების განხორციელება.

„მათი დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა, როდესაც დაინახეს ჩვენ მიერ განხორციელებული სხვადასხვა საინფორმაციო კამპანიების შედეგები, რომელიც თემის მნიშვნელოვან პრობლემებს ეხებოდა. პროგრამა „მომავლის თაობა“ ხელს უწყობს ახალგაზრდების განვითარებას, გვასწავლის ორგანიზებულ მუშაობას დემოკრატიულ გარემოში, გარკვეული პასუხისგებლობის საკუთარ თავზე აღებას, სხვადასხვა სტრუქტურებთან თანამშრომლობას, რასაც უმნიშვნელოვანესი წვლილი შეაქვს მოქალაქეობრივად აქტიური თაობის ჩამოყალიბებაში“ – ამბობს ილია.

ერთ-ერთი ასეთი შემეცნებითი და ინფორმაციული აქტივობა იყო ონლაინ კონფერენცია კორონავირუსის შესახებ, რომელიც სწორედ ილიას ინიციატივით ჩატარდა, გაეროს გენერალური მდივნის მრჩევლის ჯანდაცვის საკითხებში, **გიორგი ფხაკაძესთან** ერთად. ილია სპიკერს ფეისბუქის მეშვეობით დაუკავშირდა და ონლაინ საინფორმაციო შეხვედრაში მონაწილეობა სთხოვა. ამბობს, რომ მისი მიზანი კომპეტენტური პირის მიერ კორონავირუსის შესახებ საზოგადოების ინფორმირება იყო.

„მიუხედავად იმისა, რომ ახალი კორონავირუსი, კარგა ხანია, მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია და ყველგან საუბრის მთავარი თემაა, ჩვენ ,ჯერ კიდევ, მის შესახებ მცირე ინფორმაციას ვფლობთ. ინფორმაციის მატების პარალელურად, შეკითხვებიც მრავლდება. მედიისა თუ სოციალური ქსელების საშუალებით მუდმივად გვესმის სიახლეები ვირუსის შესახებ, თუმცა მაინც გვიჩნდება გარკვეული შეკითხვები და რჩება ბუნდოვანებები, რომლებზეც პასუხს ვერ ვიღებთ, რადგან არ გვაქვს უშუალო კონტაქტი კომპეტენტურ პირებთან. ამიტომ, საჭიროდ ჩავთვალე, მსმენელისთვის ისეთი ფორმატი შემეთავაზებინა, სადაც, ყოველგვარი შუამავლების გარეშე, თავად შეძლებდნენ სტუმრისთვის კითხვების დასმას და ამომწურავი პასუხების მიღებას. ბატონი გიორგი ხშირად მინახავს ტელევიზიით და მისმა საინტერესო საუბარმა მაფიქრებინა, რომ უძლიერესი პროფესიონალია ჯანდაცვის სფეროში. ჩავთვალე, რომ ბატონი გიორგი საუკეთესო სპიკერი იქნებოდა ამ ლაივ ჩართვისთვის. პროფესიონალიზმის გარდა, კეთილშობილი ადამიანია, ყოველთვის მხარს უჭერს საინტერესო ინიციატივებს, განსაკუთრებით ახალგაზრდების მიერ ინიცირებულს.“ – გვიამბობს ილია.

საინფორმაციო ონლაინ შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. მიუხედავად იმისა, რომ სპიკერთან საუბარი, გეგმის მიხედვით, 40 წუთი უნდა გაგრძელებულიყო, მსმენელს ბევრი კითხვის დასმა მოუწია და სპიკერმაც არც ერთი შეკითხვა არ დატოვა უპასუხოდ, ჩართვა ორ საათს გაგრძელდა.

გაეროს გენერალური მდივნის მრჩეველი ჯანდაცვის საკითხებში კორონავირუსთან დაკავშირებულ ყველა საკითხს შეეხო. მსმენელს – მოსწავლეებს, პედაგოგებს და მშობლებს გააცნო, თუ რა უნდა იცოდნენ უცნობი ვირუსის შესახებ; რა პრევენციულ ზომებს უნდა მიმართონ; როგორია მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის კვალიფიციური რეკომენდაციები და ა.შ. „ვექტორელების“ შეფასებით, მათ ამომწურავი და კომპეტენტური პასუხები მოისმინეს, რამაც მნიშვნელოვნად აამაღლა მსმენელთა ცნობიერების დონე მსოფლიოს მთავარი გამოწვევის – კორონავირუსის შესახებ.

„ბატონმა გიორგიმ, პირველ რიგში, გაგვაცნო, თუ რასთან გვაქვს საქმე. გვესაუბრა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე, სხვადასხვა ქვეყნების მიერ ვირუსთან საბრძოლველად არჩეულ განსხვავებულ სტრატეგიებზე, ქართულ მიდგომასა და ჩვენი ქვეყნის ჯანდაცვის სისტემაზე. ასევე გვითხრა, რომ, მსოფლიოს მასშტაბით, ბევრი ლაბორატორია მუშაობს ვაქცინის შექმნაზე, თუმცა ეს რთული და ხანგრძლივი პროცესია, დაახლოებით, 18 თვე დასჭირდება. მისი ვარაუდით, ვაქცინაზე ადრე შეიქმნება წამალი, თუმცა, ბუნებრივია, მას ისეთივე ეფექტი ვერ ექნება, როგორიც ვაქცინას. მისივე თქმით, სავარაუდოდ, ოქტომბერში უნდა ველოდოთ ვირუსის განმეორებით ტალღას, რომელიც კიდევ უფრო რთული იქნება, ვიდრე დღეს არის, მაგრამ უნდა ვეცადოთ, არ ჩავვარდეთ პანიკაში და ვისწავლოთ ვირუსთან ერთად გონივრულად და სიფრთხილით თანაცხოვრება. ასევე, მოგვცა საინტერესო რჩევები ორგანიზმის გასაძლიერებლად იმ შემთხვევისთვის თუ, სამწუხაროდ, ვირუსი შეგვხვდება, ჩვენი ორგანიზმი მას სათანადოდ მომზადებული რომ დახვდეს. გვირჩია, ყოველდღიურად მივიღოთ ბოსტნეული და ხილი: ვაშლი, კივი, ფორთოხალი და ა.შ. აგრეთვე, მნიშვნელოვანია მოზარდებში ძილის ნორმალური რეჟიმისა და, არსებული სტრესული სიტუაციის მიუხედავად, პოზიტიური განწყობის შენარჩუნება.

ყოველთვის ვცდილობ, დავაკვირდე საზოგადოების ინტერესებს და შევთავაზო ინიციატივები იმ თემებზე, რომლებიც მათი ყურადღების ცენტრშია. ჩვენ გავაგრძელებთ თანამშრომლობას ბატონ გიორგისთან, ახლო მომავალში კიდევ ვგეგმავთ მის ჩართვას ძალიან საინტერესო თემებზე და გვექნება სხვა მნიშვნელოვანი ლაივ ჩართვებიც, საზოგადოებისთვის ცნობილ ადამიანებთან. მთავარია, რაც შეიძლება ბევრმა ადამიანმა გავადევნოს თვალი ჩვენს ფეისბუქგვერდზე – „სამოქალაქო მედია“.

გიორგი ფხაკაძე
გაეროს გენერალური მდივნის მრჩეველი ჯანდაცვის საკითხებში, დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის ხელმძღვანელი, გაეროს ცენტრალური მდივნის დამოუკიდებელი ანგარიშვალდებულების პანელის (EWEC) წევრი; შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის ტექნიკური განხილვის პანელის ექსპერტი; ვაქცინებისა და იმუნიზაციების გლობალური ალიანსის (GAVI) პნევმოკოკის წინასწარი საბაზრო შეთანხმების (AMC) დამოუკიდებელი შეფასების წევრი

ილია, დისტანციური სწავლების მიმდინარეობაზე და იმ პრობლემებზეც გვესაუბრა, რომელსაც, თანატოლებთან ერთად, სწავლების პროცესში აწყდება. ამ „მოულოდნელად მოვარდნილ მეწყერს“, როგორც თავად უწოდებს, განათლების სისტემა ეფექტურად გაუმკლავდა: *„მათ, ვისაც Wi-Fi აქვთ, რა თქმა უნდა, ხარისხიანად და შეუფერხებლად მიეწოდებათ ინტერნეტი, ხოლო დანარჩენებს სხვადასხვა პაკეტების შეძენა უწევთ, რომელთა გარკვეული ნაწილი, მართალია, იაფია, თუმცა, შესაბამისად, დაბალი ხარისხისაა, რაც იწვევს მთავარ პრობლემას – ონლაინ კავშირის ხარვეზით მოწოდებას. დასაწყისში ტექნიკური აღჭურვილობის პრობლემაც იყო, განსაკუთრებით მრავალშვილიანი ოჯახებისთვის, რომელთაც რამდენიმე მოსწავლე ჰყავთ და მხოლოდ ერთი დამაკავშირებელი მოწყობილობა. თუმცა, მიუხედავად მცირე ხარვეზებისა, ვფიქრობ, განათლების სამინისტრომ მაინც შეძლო ამ „მოულოდნელად მოვარდნილ მეწყერთან“ საკმაოდ ეფექტურად გამკლავება და მასწავლებლებმაც მალევე აუღეს ალღო განსხვავებულ ფორმატს. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ სასკოლო პროცესს ავსებს და ეხმარება „ტელესკოლის“ გაკვეთილებიც. ასე რომ, ნამდვილად დასაფასებელია მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მთლიანად სამინისტროს შრომა. ვფიქრობ, გონივრულია, აკადემიური წლის გამოცხადებაც დღის წესრიგში რომ აღარ დგას. თანატოლებს მინდა ვურჩიო, მიუხედავად კორონავირუსისა, იყვნენ კიდევ უფრო დიდი შემართებით, გაცილებით უფრო აქტიურები, მოვძებნოთ ისეთი ინიციატივები, რომლისთვისაც შეიძლება უკეთესი და მეტად მოსახერხებელიც კი იყოს ონლაინ რეჟიმი. მოკლედ რომ ვთქვათ, რამდენადაც შევძლებთ, არათუ დავმორჩილდეთ შექმნილ სიტუაციას, არამედ მაქსიმალურად ვეცადოთ მისი ჩვენს სასიკეთოდ გამოყენება.*

ჩვენი მიზნის მისაღწევად კი, აუცილებლად მოვძებნოთ მხარდამჭერები და პარტნიორები. ხშირად, შეიძლება, თანამშრომლობაზე უარიც მიიღოთ და დიდი იმედგაცრუებაც იგრძნოთ, მაგრამ ეს სრულიად ბუნებრივი და მოსალოდნელია. მთავარია, არ დანებდეთ და მუდამ გახსოვდეთ, უინსტონ ჩერჩილის გენიალური სიტყვები: „წარმატება დასასრული არ არის, მარცხი სიკვდილი არ არის, მთავარი მხოლოდ გაგრძელების გამბედაობაა“.

მოამზადა მაკა ყიფიანმა

ინფორმაცია

საქართველო და ფინეთი, დისტანციური სწავლების წარმატებით დანერგვის თვალსაზრისით, ლიდერ ქვეყნებად დაასახელეს

კორპორაცია Microsoft-ის მიერ ორგანიზებულ ვირტუალური განათლების ტრანსფორმაციის პირველ სამიტი გაიმართა, მონაწილეთა შორის იყვნენ: გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO), ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაციის (OECD) წარმომადგენლები და განათლების სექტორში მოღვაწე 300-ზე მეტი ლიდერი. სამიტში მონაწილეობდა, ასევე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მიხეილ ჩხენკელი.

სამიტის მთავარ მიზანს პანდემიის პირობებში დისტანციური სწავლების ხელშესაწყობად გატარებულ ეფექტიან ღონისძიებებზე მსჯელობა წარმოადგენდა. მიხეილ ჩხენკელმა პანელურ სესიაზე, ავსტრიისა და ეკვადორის განათლების მინისტრებთან ერთად, განათლების სექტორში მოღვაწე 300-ზე მეტ ლიდერს საქართველოს გამოცდილება გაუზიარა და COVID-19-ის პანდემიის ფონზე, საქართველოს განათლების სისტემის წინაშე არსებული გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები გააცნო: *„ჩემთვის დიდი პატივია ვირტუალური განათლების ტრანსფორმაციის პირველ სამიტში მონაწილეობა. მსურს მადლობა გადავუხადო Microsoft-ის წარმომადგენლებს ამ მეტად საინტერესო ღონისძიების ორგანიზებისათვის. პერსონალური მადლობა კი ენტონი სალსიტოს, რომელთანაც მრავალწლიანი თანამშრომლობა გვაკავშირებს და ერთობლივად საინტერესო პროექტები განვახორციელეთ. Microsoft-ის პროდუქტები არის ჩვენი ძირითადი ინსტრუმენტები, რომელთა მეშვეობით შევძელით პანდემიით გამოწვეული გამოწვევების დაძლევა.*

შექმნილ ვითარებაში კარგად გამოჩნდა გუნდური მუშაობის, შემოქმედებითი მიდგომისა და სწრაფი რეაგირების მნიშვნელობა. გადაწყვეტილების მიღების დროს ჩვენი გუნდის მთავარი მოტივაციის წყარო ჩვენი ახლაგაზრდები იყვნენ – კრიზისის მიუხედავად, მათთვის ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობები უნდა შეგვექმნა“.

სამიტის მოდერატორმა, ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაცია OECD-ის განათლების დირექტორატის ხელმძღვანელმა, ანდრეას შლაიხერმა მიხელ ჩხენკელის გამოსვლის შემდეგ, ისაუბრა საქართველოს წარმატებულ მაგალითზე და COVID-19-ის კრიზისის პირობებში განათლების სისტემის ადაპტაციისა და დისტანციური სწავლების წარმატებით დანერგვის თვალსაზრისით, საქართველო და ფინეთი ლიდერ ქვეყნებად დაასახელა.

დისტანციური სწავლების ხელშესაწყობის მიზნით, საქართველოში გატარებულ ღონისძიებებს მაღალი შეაფასება მისცა, ასევე, კორპორაცია Microsoft-ის განათლების მიმართულების ვიცე-პრეზიდენტმა ენტონი სალსიტომ:

„ჩვენ შთაგონებული ვართ იმ უზარმაზარი ძალისხმევითა და სიმტკიცით, რომელიც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ COVID-19-ის კრიზისის საპასუხოდ სისტემის ადაპტაციის დროს გამოავლინა. სწორედ ეს ნაბიჯები დაეხმარა მოსწავლეებს, მიუხედავად არსებული გამოწვევებისა, სწავლის შეუფერხებლად გაგრძელებაში.

OECD-მა საქართველო აღიარა, როგორც წამყვანი ქვეყანა ამ მიმართულებით. სწორედ ამიტომ გვსურდა, შესაძლებლობა მიგვეცა სხვა ქვეყნების წარმომადგენლებისთვის, უფრო მეტი გაეგოთ საქართველოს მიდგომებისა და განვლილი გზის შესახებ.

ჩვენ ვამაყობთ, რომ მინისტრი მიხეილ ჩხენკელი ვირტუალური განათლების ტრანსფორმაციის პირველ სამიტს შემოუერთდა და განათლების სექტორში მოღვაწე 300-ზე მეტ ლიდერს თავისი გამოცდილება გაუზიარა“.

აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაციამ, (OECD) 2020 წლის ანგარიშში, რომელიც COVID-19-ის პანდემიით განათლების სფეროში შექმნილი გამოწვევების დასაძლევად გამოაქვეყნა, 98 ქვეყნას შორის, საქართველოს მთავრობის მიერ განათლების მიღების უწყვეტი პროცესის უზრუნველსაყოფად გადადგმული ნაბიჯები ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად შეაფასა.

სასწავლო პროექტი

„ჩვენ ვართ გიდები“ – აქტიური მოქალაქის ჩამოყალიბებისთვის

განათლება თანამედროვე მუზეუმების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საზრუნავია. მსოფლიოს წამყვანი მუზეუმები აქტიურად არიან ჩართული საზოგადოების კულტურულ, სოციალურ თუ ეკონომიკურ ცხოვრებაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია სამუზეუმო განათლების როლი მოსწავლეების სულიერი და კულტურული განვითარების საქმეში. მუზეუმი შემეცნებისათვის იდეალური ადგილია, სამუზეუმო ექსპონატებზე დაკვირვება და მიღებული ცოდნის გაანალიზება საუკეთესო საშუალებაა კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების განვითარებისთვის.

საქართველოში ტურისტულ ზონას, ქალაქ ბათუმს, ყოველწლიურად, მრავალი ადამიანი სტუმრობს. წლის ნებისმიერ დროს აქ შეხვდებით ტურისტებს სხვადასხვა ქვეყნიდან: უკრაინა, ბელარუსი, რუსეთი, მოლდოვა, ყაზახეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი და ა.შ., რომლებსაც მეგზურობას, ძირითადად, რუსულენოვანი გიდები უწევენ. გასულ სასწავლო წელს, რუსული ლიტერატურის კლუბის წევრებთან ერთად, მუზეუმში სტუმრობისას, შევხვდით უკრაინელი ტურისტების ჯგუფს, რომლებსაც გიდობას ჩემი ნაცნობი რუსულენოვანი გიდი უწევდა, ჩვენც გავყევით ტურისტების ჯგუფს მუზეუმის ექსპოზიციის დასათვალიერებლად. გახარებული ბავშვები სიამოვნებით უსმენდნენ გიდის მონათხრობს რუსულ ენაზე. მოსწავლეები გაესაუბრნენ რუსულ ენაზე მოსაუბრე სტუმრებს, სამწუხაროდ, როგორც აღმოჩნდა, მუზეუმში რუსულენოვანი გიდები ჰყავთ, მაგრამ ტურისტული სეზონის მოახლოებასთან ერთად იზრდება იმ ტურისტთა ჯგუფები, რომლებსაც ექსკურსიის მოსმენა რუსულ ენაზე სურთ. რუსულენოვან გიდს ჯერ ერთ ჯგუფთან არ ჰქონდა დამთავრებული ექსკურსია, რომ სხვა მსურველებიც აღმოჩნდნენ. მოსწავლეებმა საკუთარი თვალით ნახეს, თუ როგორი საინტერესო შეიძლება იყოს სხვა ეროვნების ადამიანებთან კომუნიკაცია და, ამავე დროს, როგორ შეიძლება მიაწოდო ამ ადამიანს ინფორმაცია შენი საყვარელი მხარის შესახებ. იქვე გაჩნდა პროექტის განხორციელების იდეა – კერძოდ, მოსწავლეებმა გადაწყვიტეს, თვითონ გამხდარიყვნენ გიდები. სამწუხაროდ, ეს იქვე ვერ მოვახერხეთ, რადგან გიდობას, ენის ცოდნასთან ერთად, სხვა უნარ-ჩვევები და კომპეტენციები სჭირდება, რაც მათ არ გააჩნდათ. ამიტომაც, მიზნად დავისახეთ პროექტის განხორციელება – მუზეუმში ექსკურსიების ჩატარება რუსულ ენაზე, ჩვენც „ვყოფილიყავით გიდები“ და შესაბამისი რეკომენდაციები გაგვეწია რუსულენოვანი სტუმრებისთვის მუზეუმში თუ მუზეუმს გარეთ.

განხორციელებული სასწავლო პროექტის დადებითი მხარის სიძლიერის დანახვაში დაგვეხმარა ჯონ დიუის პედაგოგიური კონცეფცია, რომლის ლოზუნგი: „სკოლა ცხოვრების ინსტრუმენტია“. დიუის აზრით, აღზრდისა და სწავლების დროს, ბავშვს უნდა მივაწოდოთ არა თეორიული ცოდნა, არამედ შევძინოთ კონკრეტული, პრაქტიკული უნარ-ჩვევები – ბავშვები არა მარტო შეიმეცნებენ სამყაროს, არამედ ისწავლიან ერთად მუშაობას და სირთულეების დაძლევას. როგორც ჯონ დიუი მიიჩნევდა, მოსწავლის თეორიულმა ცოდნამ უნდა მიიღოს კონკრეტული ფორმა, რომელსაც ექნება კავშირი პრაქტიკასთან. სწავლა უფრო ეფექტური იქნება, თუ ის დაეფუძნება მოსწავლეთა შეკითხვებს, ინტერესებსა და საჭიროებებს. პროექტებით სწავლების მეთოდი კი ხელს უწყობს სწორედ მოსწავლეთა ინიციატივის, სამუშაოს დაგეგმვის ჩვევის, გარემოებებისა და სირთულეების გათვალისწინების განვითარებას, ასწავლის მიზანდასახულობასა და დამოუკიდებლობას. ჩამოვაყალიბეთ ჩვენი სასწავლო პროექტის მიზნები და ამოცანები:

- მოსწავლეებმა შეძლონ რუსული ენის პრაქტიკული გამოყენება, კონკრეტული მიმართულება – ტურიზმი /ლექსიკა, სამეტყველო უნარ-ჩვევების განვითარება/;
- მოსწავლეთა ინტერესების და დამოკიდებულების გაფართოება, დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება და პასუხისმგებლობის ჩამოყალიბება;
- მოსწავლემ შეძლოს, პროექტის ფარგლებში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად, თანატოლებთან და უფროსებთან გააზრებული თანამშრომლობა;
- მოსწავლეებში სოციალური უნარების, კონსტრუქციული თანამშრომლობის, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარება;
- საკუთარი შეხედულების ჩამოყალიბება, როგორც მშობლიური მხარის კულტურული მემკვიდრეობის მიმართ, ასევე სხვა ქვეყნის ტრადიციებისა და კულტურის მიმართ;
- კულტურული მრავალფეროვნების დაფასება; საკუთარი თავის შეცნობა და კრიტიკული გააზრება; მოქალაქეობრივი აზროვნება.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები:

- ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება;
- კომუნიკაცია ინდივიდებთან და ჯგუფებთან;
- სამიზნე ქვეყანასთან/ქვეყნებთან დაკავშირებული გეოგრაფიული მონაცემებისა და მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენების დასახელება. ხელოვნებისა და არქიტექტურის ნიმუშების ამოცნობა;
- ინტერესის გამოჩენა და ტოლერანტული დამოკიდებულება უცხოენოვანი კულტურული და სოციოკულტურული თავისებურებების მიმართ.

პროექტის მსვლელობას თან ახლდა ჩვენ მიერ დაგეგმილი განსახორციელებელი აქტივობები, რომლებსაც, მოსწავლეებთან ერთად, ეტაპობრივად ვახორციელებდით. მოვიძიეთ და დავამუშავეთ საინფორმაციო გზამკვლევები როგორც ბიბლიოთეკებში, ინტერნეტის საშუალებით, ასევე უშუალოდ სამუზეუმო სივრცეში; გავმართეთ შეხვედრები მუზეუმის ხელმძღვანელობასთან, კერძოდ კი – მოსწავლეთა საგანმანათლებლო პროექტების კოორდინატორებთან, მუზეუმის გიდებთან; გავეცანით ექსპოზიციას, დავამუშავეთ საექსპოზიციო მასალა როგორც ქართულ, ასევე რუსულ ენებზე; მოვაწყვეთ საკუთარი მუზეუმი სკოლაში – მოსწავლეებმა მოიტანეს სხვადასხვა ნივთები: სურათები, ძველი წიგნები, ნახატები და დაურთეს ანოტაციები როგორც ქართულ, ასევე რუსულ ენებზე. გამოფინეს დამთვალიერებლებისთვის – ჩვენი სკოლის მოსწავლეებისთვის, მასწავლებლებისა და სტუმრებისთვის.

პროექტის განხორციელებაში ჩაება მთელი სკოლა – მოსწავლეები, მასწავლებლები, სკოლის ადმინისტრაცია და მოსწავლეთა ოჯახის წევრები, რადგან ამ პროექტმა დიდი ინტერესი გამოიწვია როგორც მოსწავლეთა და მასწავლებელთა შორის, ასევე მშობლებში. მშობლებთან ვმართავდით შეხვედრებს და ვაცნობდით ჩვენს სამომავლო გეგმებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდისთვის განსხვავებულ, არაფორმალურ გარემოში ცოდნისა და გამოცდილების შეძენას. რადგან ჩვენი სკოლა ქალაქგარეთ მდებარეობს, მშობლები გვთავაზობდნენ საკუთარ სამარშრუტო ტაქსებს მოსწავლეთა მუზეუმებში გადაყვანისთვის, დათვალიერებისა და გაცნობისთვის. პროექტის მსვლელობისას გაუმჯობესდა მოსწავლეთა საკომუნიკაციო და სამეტყველო უნარები, გამდიდრდა მათი ლექსიკა ბუნების, გეოგრაფიისა და ტურიზმის მიმართულებით. ასევე, გაფართოვდა მათი ინტერესების არეალი, განსაკუთრებული ინტერესი გაუჩნდათ მუზეუმებისადმი, კერძოდ კი – სამუზეუმო განათლების მიმართ. ვფიქრობ, ამ პროექტში ჩართულობით, შეიცვალა მათი დამოკიდებულება არაფორმალური განათლების მიმართ.

პროექტის მიმდინარეობისას დაიხვეწა მოსწავლეების სოციალური უნარები, ამაღლდა მოტივაცია და პასუხისმგებლობა, ისწავლეს კონსტრუქციული თანამშრომლობა, განუვითარდათ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, მიეჩვივნენ დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღებას. მუშაობის პროცესში შეძენილი უნარ-ჩვევები ცხოვრებისეულ გამოცდილებად ექცათ. მათთვის ეს პროცესი ძალიან საინტერესო და აქტუალური იყო.

მოსწავლეებმა გამოთქვეს სურვილი, მეტი გაეგოთ ჩვენი სამშობლოს შესახებ, ამასთანავე, უკეთ გასცნობოდნენ ჩვენი ქვეყნის ისტორიულ წარსულს და გაეღრმავებინათ ცოდნა ამ კუთხით, რაც დაეხმარებოდათ სამშობლოს კულტურული მემკვიდრეობის შეცნობასა და დაფასებაში, განუვითარებდათ კულტურული მრავალფეროვნების დაფასებისა და მრავალენობრივ კომპეტენციებს.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილმა აქტივობებმა ხელი შეუწყო რუსული ენის ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების შესაძლებლობების გაფართოებას. იმავდროულად, მოსწავლეებს ჩამოუყალიბდათ სწორი დამოკიდებულება მშობლიური მხარის ისტორიისა და კულტურის მიმართ, ეს კი საწყისი და ჩანასახია იმისა, რომ მომავალში ისინი საზოგადოების სრულუფლებიან და აქტიურ წევრებად ჩამოყალიბდებიან. არაფორმალურ გარემოში მიღებულმა ცოდნამ მეტი თავდაჯერებულობა შესძინათ, აუმაღლდათ მოქალაქეობრივი აზროვნება, კარგად გაიაზრეს საკუთარი ქმედებები და შედეგებზე ანგარიშვალდებულება. გაუჩნდათ საზოგადოებისადმი კუთვნილების განცდა და საზოგადოების წევრების მიმართ სოლიდარობა. გააცნობიერეს საზოგადოების მიმართ სამოქალაქო ვალდებულება. განუვითარდათ მოსმენისა და დაკვირვების უნარ-ჩვევები, ნათქვამისა და არავერბალური ქცევის აღქმისა და გაგების უნარი. თანამშრომლობის უნარ-ჩვევები საერთო მიზნების მიღწევაში და თანამშრომლობისკენ სხვათა წახალისებაში დაეხმარა.

იმედი გვაქვს, ამ პროექტში მოსწავლეთა აქტიური ჩართულობით შეიცვლება მათი დამოკიდებულება არაფორმალური განათლების მიმართ. ამ პროექტმა სამომავლო სარგებელი შეიძლება ქალაქსაც მოუტანოს, რადგან, პროექტის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, ქალაქს რამდენიმე რუსულენოვანი გიდი ეყოლება. პროექტებით სწავლების მეთოდებმა ხელი შეუწყო მოსწავლეთა ინიციატივის, სამუშაოს დაგეგმვის ჩვევის, გარემოებებისა და სირთულეების გათვალისწინების განვითარებას, ამავდროულად, მათ მიზანდასახულობა, პასუხისმგებლობა და დამოუკიდებლობა ასწავლა, რაც ხელს შეუწყობს, მათი სახით, აქტიური მოქალაქეების ჩამოყალიბებას.

ირმა კარანაძე

სსიპ მინდია აბაშიძის სახელობის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარის №1 საჯარო სკოლის რუსული ენის მენტორი მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მასწავლებელთა პროფესიული ესგ-ს სტანდარტი. მოქმედი ვერსია;

2. როლფ გოლობი. პიტერ კრაფი. ვილტრუდ ვეიდინგერი – განათლება დემოკრატიისათვის. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. 2013;

3. მანანა ბოჭორიშვილი. როგორ შევადგინოთ საგანმანათლებლო პროექტი – გზამკვლევი მასწავლებლებს.მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. 2013;

4. მასწავლებლის წიგნი – გამჭოლი კომპეტენციები. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. 2013;

5. მასწავლებლის წიგნი – ინტერაქტიური მეთოდები პრაქტიკაში. 2016;

6. ჯონ დიუის პედაგოგიური კონცეფცია. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. 2015.

ვკითხულობთ და ვწერთ

მე მასწავლებელი ვარ. მოსწავლეებს ქართული მითოლოგიური სამყაროს შესახებ ვუყვები, რომელიც, სამწუხაროდ, არა მარტო ბავშვებისთვის, დიდებისთვისაც ჯერ საკმაოდ უცნობია ხოლმე.

წარმოიდგინეთ გაჯვეთილი, სადაც მითებსა და ზღაპრებს გიყვებიან. ბევრ ახალ ამბავს იგებ, უამრავ ახალ გმირს აღმოაჩენ. ზოგიც ნაცნობია, მის შესახებ წაგიკითხავს, მოგწონებია ან გაბრაზებულხარ. ამ დროს შენს წარმოსახვას ახალ მონაყოლს ადარებ. ასეთი გაჯვეთილი საინტერესოდ და სახალისოდაც გეჩვენება. მით უმეტეს, თუ ამ გმირების დახატვასაც გთხოვენ. უნდა მოიფიქრო, რა ჩაცვა დევს, გრძელი ყურები აქვს თუ მოკლე ყურშას, მინდოთბატონის ასული ყვავილიდან ყვავილზე ხტება თუ ფრთები აქვს და დაფრინავს.

თქვენ გგონიათ, ახალი გმირების გაცნობით ცოდნა მიიღეთ და ამით გაჯვეთილი დასრულდა? თუ ასე ფიქრობთ, ცდებით და თან ძალიანაც ცდებით. სწორედ ამ გაცნობის შემდეგ იწყება დიდი შემოქმედებითი პროცესი.

მაგალითად, ქართული მითოლოგიაში გსმენიათ წყალქვეშ მცხოვრები გმირების შესახებ. სავარაუდოდ, არა. კი, ჩვენც გვყავს მითოლოგიური გმირები, რომლებიც წყალქვეშ ცხოვრობენ და მათ მესეფენი ჰქვია. ადამიანის მსგავსნი არიან. წყალში ცხოვრობენ და ხმელეთზე შავი ზღვიდან მესეფობის პერიოდში შემოგომობით ხმელეთზე ამოდიან.

ექვსნი არიან – სამი ქალი და სამიც კაცი. თან მოჰყვებიან ძაღლები. მნიშვნელობა აქვს პირველი ქალი ამოვა თუ კაცი. კაცი თუ ამოდის, ადამიანებს აგებინებს, რომ ამინდი იცვლება და საქმეები წვიმების დაწყებამდე უნდა დაასრულონ. თუ ქალი ამოდის – კარგი ამინდი იქნება. წყლიდან ამოსვლის შემდეგ მიდიან ტყეებში და იქ ნიშნავენ ცხოველებს, რომელთა მოკვლაც მონადირეებს არ შეუძლიათ.

ეს, რაც ცნობილია ქართული მითოლოგიიდან.

მოდი ახლა, ეს ცოდნა გამოვიყენოთ, შემოქმედებითად ვიაზროვნოთ, ფანტაზიას ვუხმოთ და მათ შესახებ თავად მოვიფიქროთ ზღაპრები თუ მოთხრობები.

მაგალითს მე მოგცემთ. აი, რა მოვიფიქრე.

რობოტ დამებობრძნენ მესეფენი და ადამიანები

საერთო მინისა და წყლის შვილები იყვნენ: ერთნი მინაზე ცხოვრობდნენ, მეორენი – წყალში. ზღვისები – მესეფენი მინისების – ადამიანების შიშით მინას ფეხს ვერ აკარებდნენ და მინისები კი ზღვაში არ შედიოდნენ, ანუ ერთნი ზღვის პირას ცხოვრობდნენ და ცურვა არ იცოდნენ, მეორენი – ხმელეთის პირას და მშრალ მინაზე ფეხი ერეოდათ.

დია მინის შვილი იყო. როგორც კი სელის ძაფის დართვისგან თავს გაითავისუფლებდა და დედაც თვალით ანიშნებდა, გარეთ გასვლა შეგიძლიარ, სოფელს განერიდებოდა და ზღვის პირას, სიმყუდროვეში, სანოლის ქვეშაგებზე ჩიბე და თბილ ქვიშაზე წამოწვებოდა და ჩამავალ მზიდან გადმოლვრილ ბილიკს ფიქრებით მიუყვებოდა. უკანასკნელი სხივების ჩასვენების წინ წამოდგებოდა, ნაწნავებს დაიშლიდა, ხელებს გაშლიდა, დატრიალდებოდა და ჩალისფერ თმას ზედ დაიხვევდა, ტანს ტალღებივით არხევდა და მზეს ასე ემშვიდობებოდა. დია თუ ამ მოძრაობებს მნათობის გაცილებას ეძახდა, მემრცხვენოდა – ზღვიდან მოთვალთვალე მესეფისთვის ცეკვა იყო. დიამ მოთვალთვალის შესახებ არაფერი იცოდა, მემრე კი თავს იინმუნებდა, რომ ამჩნევდნენ, უფრო მეტიც, ხმელეთელი მისთვის ცეკვავდა.

დიას სხვა მოთვალთვალეც გამოუჩნდა: სოფლის თავის ვაჟი. მან მაშინვე მამას მოახსენა, დია მესეფთან მეგობრობს და მისთვის ცეკვავსო.

სოფლის თავი რა თავი იქნებოდა, განგაშის ზარი რომ არ ჩამოეკრა. დიას ღალატი დაბრალეს.

– ხვალ დილითვე უნდა დაისაჯოს! – ერთი ხელის მოსმით გამოუტანეს განაჩენი.

სოფელმა საქმე გააკეთა და ვალმოხდილმა მშვიდად დაიძინა. ფხიზლობდნენ საბძელში გამომწყვდეული დია და მისი სასონარკვეთილი დედა.

შუაღამემდე ითმინა დედამ. ცრემლით დაიბრა კაბის გულისპირი. ბოლოს დაცყვევებული დიას მიაკითხა. კართან მხოლოდ სოფლის თავის ვაჟი იდგა. დედას წინ გადაეღობა, არ შეგიშვებო. დიდი ხვეწნის შემდეგ დართო ნება პირმშოს უკანასკნელად მოფერებოდა. დედა სულ ცოტა ხნის შესული იყო, რომ დია გარეთ გამოვარდა და ცყისკენ გაიქცა. მცველი უკან დაედევნა. ძლივს დაიჭირა. მხოლოდ მცენარეებში მომწყვდევის შემდეგ მიხვდა, დიას კი არა, დედამისს მისდევდა. ქალს სახეში გაარტყა და იქვე მიაგდო. თავად სატუსაღოსკენ გაიქცა, რა თქმა უნდა, ცარიელი დახვდა. ყვირილი მოართო, მოღალატე გაიქცაო.

დია ცყის მოპირდაპირე მხარეს, ზღვისკენ გაიქცა. მდევარს დასანევად დიდი დრო არ დასჭირვებია. ნაპირზე დიას მაღევე მიაგნეს. გოგონა ხან მათ შეხედავდა, ხან – ზღვას. ზღვა მშვიდი იყო და მოლივლივე და ისიც შევიდა. სულ ერთი ნაბიჯით რომ დაეგვიანებინა, ხელს სცაცებდნენ და გამოათრევდნენ, მაგრამ ფეხის დასვლება ვერავინ გაბედა, მხოლოდ დიას სილუეტში თანდათან გაუჩინარებას ადევნებდნენ თვალს.

წყალი მხრებს ასცდა და თავსაც გადაეარა. დია ერთი ადგარეთხალდა, მაგრამ მერე ბედს მიენდო და თვალდახუჭული ფსკერისკენ მშვიდად დაეშვა. უეცრად ვილაცის სხეული იგრძნო, ნელზე ხელი შემოხვიეს და ზევით აიტანეს. დია ისევ სუნთქავდა. ახლა კი შეამჩნია მხსნელი ვინც იყო: მისი ცეკვით მოხიბლული მესეფი. ვაჟი ჩაძირვის საშიშროებას არ აძლევდა.

სხვა მესეფენი შორიდან ადევნებდნენ თვალს ადამიანის გადარჩენის მსურველ მოძმეს. დახმარებას არ აპირებდნენ, მაგრამ არც მცდელობაში უშლიდნენ ხელს.

დრო გადიოდა და თანდათან მესეფს ლონე გამოეცალა. ორივემ, მშველელმა და საშველმაც, ნელ-ნელა ჩაძირვა დაიწყო. დია ნაპირიდან ხან გამოჩნდებოდა, ხან წყალი ფარავდა. ყოველ დაფარვას ადამიანები ამოოხრებითა და გმინვით ხვდებოდნენ. სოფლის თავი გრძნობდა, შურისძიებისა და მოღალატის დასჯის ჟინი ხალხში როგორ იღვიძებდა, ამიტომ დროდადრო შესძახებდა ხოლმე, დაიხრჩოს, დაე, თევზების ლუკმა გახდეს ეგ მოღალატეო, მაგრამ მის ძახილს ნიავს ფანტავდა და ადამიანთა ყურამდე ვერ აღწევდა.

მესეფმა იცოდა, ამ ამოყვინთვის შემდეგ დიას წყლის ზედაპირზე მეტჯერ ვეღარ ამოიყვანდა. დამხმარე არავინ ჩანდა. გინდაც სხვა მესეფები შეშველებოდნენ, გოგონას ტალღებს ზემოთ როდემდე ატივტივებდნენ.

– იცეკვე! – შეეძახა ბედსმინებებული მინელს მესეფმა. დიას გაოგნებული მზერას რომ გადააწყდა, უფრო ხმამაღლა ეყვირა, – ჰო, იცეკვე, როგორც მინაზე ცეკვავდი, გაშალე ხელები, იმოძრავე! იმოძრავე!

დიამაც გაშალა ხელები, აღარ თუ ნიავს აყოლებდა ახლა ტალღებს ეფერებოდა, თითქოს მათ აქოჩრილი ბუღლებს ეფერებოდა, ხან მათთან ერთად წყვილად იხეოდა და ფეხს ასე უნყობდა. მესეფმა შვება იგრძნო, დია აღარ იძირებოდა, ხან წყალზე ტივტივებდა, ხანაც მიცურავდა.

მაღე დია თავად მიხვდა, სხეული და სუნთქვა როგორ ემარჯვა და რა განსხვავება იყო ცეკვასა და ცურვას შორის.

– მე ვცურავ! – იყვირა გოგონამ.

ვაჟი დროდადრო ხელს აშველებდა, დასვენების საშუალებას აძლევდა. ახლა უკვე სხვა მესეფენიც დაედგნენ გვერდში და შორიახლო დაცურავდნენ, საჭიროების შემთხვევაში, გოგონას რომ დახმარებოდნენ.

დია ნაპირისკენ გაცურდა. ახლა კი დაინახეს მინიდან, რომ გოგონა თავად ცურავდა და მესეფენი მხოლოდ შორიდან უთვალთვალებდნენ.

– ცურავს!.. ცურავს! გაისმა ნამოძახილები.

დიამ ფსკერი დაინახა თუ არა, მინის ადამიანი მაშინვე ფეხზე დადგა. წყალი მკერდამდე წვდებოდა. გამოქცევისას სხვა სოფლელები დატოვა, ახლა კი სულ სხვა ხალხი უცქერდა. მათ თვალებში მტრობისა და შურისძიების სურვილის ნატამალსაც ვერ ხედავდა. დია ხან თავისიანებს შეხედავდა, ხან უკან ჩამოტოვებულ მესეფენს.

– ნადი შენიანებთან, – მიცურდა დიასთან მესეფი ვაჟი, – ცურავ რომ მოგენატრება, ზღვა ყოველთვის მშვიდად მიგიღებს, ჩვენც არაფერს გავნებთ.

– ვიცი, ახლა უკვე ვიცი! – თავი დაუქნია დიამ, – მაგრამ ეს ჩემთვის საკმარისი არ არის. გამომყევი და ნაპირზე ერთად გავიდეთ.

– ნაპირზე? ხმელეთზე? – შეცბუნდა ვაჟი.

– ჰო, არ მენდობი?

– შენ გენდობი, მაგრამ – მესეფმა აღარ დაასრულა სიტყვა, მხოლოდ კოლხებისკენ გაიხედა.

– ესენი აღარაფერს დაგიშავებენ. თუ – ჩაფიქრდა დია, – მე გადაგეფარები.

იმ შემოდგომის ღამის შემდეგ კოლხები ზღვას დაუბრუნდნენ, მესეფებმა კი ხმელეთზე ამოსვლა დაიწყეს. წელინადში ერთხელ სამი მესეფი ქალი – დიას სახელზე, სამი მესეფი კაცი – დიას მეგობარი მესეფის სახელზე ხმელეთზე ამოდიოდნენ, თან ძაღლებიც ამოჰყავდათ და კოლხებს ამინდის გამოცნობასა და ნადირობაში ეხმარებოდნენ. ასე დამეგობრდნენ ადამიანები და მესეფენი.

ახლა დავალება. მის შესასრულებლად თქვენც უნდა უხმოთ ფანტაზიას და დაწეროთ ზღაპარი ან მოთხრობა, რომელიც მესეფეების ქვეყანაში, წყალქვეშ ხდება.

თქვენს ნამუშევარში აუცილებლად

- *უნდა აღწეროთ გარემო – როგორ სახლებში ცხოვრობენ, რას მირითმევენ, სკოლები აქვთ თუ არა, თავისუფალ დროს როგორ ატარებენ.*
- *დაახასიათოთ მთავარი გმირი, რომელიც მესეფია, – როგორი ხასიათისაა, მშიშარაა თუ გულადი, მგზაურობა უყვარს თუ თავის სახლ-ნიფარაშია შეყუჟული. როგორ გამოიყურება, ესაც მაინტერესებს.*
- *და ბოლოს მოუგონოთ სახალისო თავგადასავალი.*

აქ კი ჩვენი გაჯვეთილი სრულდება. ახლა თქვენ უნდა იყოჩალოთ და კითხვასთან ერთად მესეფენთა შესახებ ერთი საინტერესო ამბავი უნდა მოიგონოთ.

ნატო დავითაშვილი

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №7-8
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.akhaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“
ს/კ 202058735, ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

ფასი – 2 ლარი

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.